

სპორტიელი

ქართული
ინფორმაცია

სპორტული გაზეთი

პარასკევი 2 ნოემბერი 2001 №210 (1483)

ფასი 50 თეთრი



გუშინ ბევრი რამ ამოყირავდა შვილახა ფრაიბურგს გაუმართლეს



კიდევ იტყვიან, საქართველო ევროპა არ არისო?!

„სელტას“ ჩეხურ „ლიბერეცთან“ 3:1 ჰქონდა მოგებული, თავი ქუდში ეგონა, საპასუხო მატჩში კი თავზე ლაფი დაისხა. „გრასჰოპერს“ უფრო დიდი უპირატესობა — 4:1 ჰქონდა პირველი მატჩის მერე „ტვენტესთან“, მაგრამ საქმე ისე წაუვიდა, ბოლოსდა გადაურჩა გავარდნას. იგივე შეემთხვა „ლიდსს“, რომელიც ოთხი შინაური გოლის მიუხედავად, ტრუადან შერცხვენილი დაბრუნდა. „სენტ გალენსაც“, ალბათ, ეგონა, ფრაიბურგში მოგება ეყოფოდა, მით უმეტეს, შინაც იგებდა, ბოლოს კი ლევან ცქიტიშვილისგან და მისი თანაგუნდელებისგან ოთხჯერ გაინწა სილა. ამის თაობაზე „ფრაიბურგის“ ქართველს გუშინვე გავესაუბრეთ და ინტერვიუსაც ვთავაზობთ მეორე გვერდზე. სახელიან „აიაქსს“ რა შეემთხვა? ნაკლებ სახელიანმა „კოპენჰაგენმა“ გააგდო, რომელსაც მარტო ქუთაისის „ტორპედოს“ ჯობნა კი არ შეძლებია. ინგლისური „ჩელსი“ კი ებრაულ „ჰაპოელს“ შესკდა და დაიმსხვრა. ლონდონელთა მწვრთნე-

ლი კლაუდიო რანიერი მატჩის წინ თურმე მოთამაშეებს დამუქრებია, თუ ვერ მოიგებთ, შავ დღეს დაგაყრითო და ვნახოთ, სიტყვას როგორ აასრულებს.


მოკლედ, საქართველო და ევროპა მხარდამხარ მიდიან — გუშინ ევროპაშიც ბევრი ვინმე ამოყირავდა, ან თითქმის ამოყირავდა.

ევროტასს შემორჩენილი ქართული ლეგიონი კი კიდევ ორი კაცით შემცირდა. ჩელსელ რატი ალექსიძეს, რომელიც სათადარიგოდაც არ ყოფილა, ლევან მიქაძის კიევის ცსკა მიჰყვა — ბელგიური „ბრიუგესგან“ ხუთი უპასუხო გოლი გაუშვა.

ჰოდა, დაგვრჩენ ფრაიბურგელები და კახა კალაძე, რომლის „მილანიც“ ჯერჯერობით თავის შესაფერის მეტოქეს არ გადააჰყრია.


შემდეგი ეტაპიდან უეფას თასს ჩემპიონთა ლიგადან გადასული რვა გუნდიც შეუერთდება, ხოლო წილისყრა, ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგისა, დღეს შენევაში ჩვენით 15 საათზე მოენწყობა.

იხილეთ მეორე გვერდი



AP ფრეიბურგ

ლევან ცქიტიშვილმა გაიტანა, ლევან კობიაშვილმა კარგად ითამაშა, „ფრაიბურგმა“ წინ წაიწია



რობი კინის გოლმა „ლიდსი“ ამოყირავებას გადაარჩინა

REUTERS ტრუადან

ქართვაელაბო, დაუპირისპირდით ერთმანეთს!


აბერ, სპორტი, აბერ, ევროპა...



გუშინ ევროლიგაში ევროპელთათვის სრულიად უმნიშვნელო, ქართველთათვის კი საკმაოდ მნიშვნელოვანი რამ მოხდა: პირველად ამ ტურნირის ისტორიაში ერთმანეთს ორი ჩვენებურის გუნდი — ზაზა ფაჩულიას „ულქერი“ და ვლადიმერ ბოისას „ოლიმპია“ დაუპირისპირდნენ. თავად ქართველ კალათბურთელთა მოედანზე შეხვედრა კი არ შედგა — ამ მატჩში მხოლოდ ფაჩულიამ მიიღო მონაწილეობა. ზაზამ 15 წუთში 4 ქულა, 5 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარება

მიითვალა, ხოლო მისმა გუნდმა 75:63 მოუგო „ოლიმპიას“ და წლეულს პირველი მარცხი აგემა. ამ მატჩის წინა დღეს კი 17 წლის ფაჩულია თურქეთის ჩემპიონატის ბოლო, მესამე ტურის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ და დამცველად აღიარეს.

ევროლიგამ კი ოთხი ტური მოილია. დაუმარცხებელი ორნილა დარჩნენ — ტურნირის შარშანდელი და შარშანწინდელი ჩემპიონები, ბოლონიის „ეინდერი“ და ათენის „პანათინაიკოსი“.



ზაზა ფაჩულია საუკეთესო დამცველი და ახალგაზრდა

ბურამ ფულანგაშვილმა ფოტო

ევროლიგის გუშინდელი ანგარიშები იხილეთ მეორე გვერდზე

ჩემპიონთა ლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპის სტატისტიკა



პირველი ეტაპის საუკეთესო მეგობრები: ჟოვანი ელბერი და დავიდ ტრეზეგე

გოგბარდირები

ელბერი	ბაიერნი	6	306
ტრეზეგე	იუვენტუსი	6	404
ანრი	არსენალი	5	449
ბესჩასტინი	სპარტაკი	4	540
კარიერი	ლიონი	4	408
კლუივერტი	ბარსელონა	4	450
პერეირა	ბოავიშტა	4	406
ბუნინი	ლოკომოტივი	3	222
შეირუ	ლიონი	3	409
კლუიტონი	პორტუ	3	295

დელ პიერო	იუვენტუსი	3	480
ფიგუ	რეალი	3	448
ლარსონი	სელტიკი	3	540
რივალდო	ბარსელონა	3	338
ტომასონი	ფეინორდტი	3	360
ტოტი	რომა	3	449
ტრისტანი	დემორტივო	3	318
ვან ნისტელროი	მანჩესტერი	3	444

წითელი ბარათები

ამოროზო	დორტმუნდი	1	263
ეშლი კოული	არსენალი	1	281
დავიდსი	იუვენტუსი	1	343
დე შაანი	ფეინორდტი	1	434
ეტო	მალიორკა	1	386
ჯოვანი	ოლიმპიკოსი	1	306

ჯონსონი	ფენერბაჩე	1	397
ჟუნინიო	ლიონი	1	242
ლუშინი	არსენალი	1	17
ვან გობელი	ფეინორდტი	1	173
ვან ჰოიდონკი	ფეინორდტი	1	337

თავაზობა

უმით კარანი	გალათასარაი	15	358
ლუკე	მალიორკა	13	391
კოლერი	დორტმუნდი	12	540
ოფორიკუაე	ოლიმპიკოსი	12	386
კაფუ	რომა	11	504
ვან ნისტელროი	მანჩესტერი	11	444
დელვეკიო	რომა	10	181
დედა	ბოავიშტა	10	492
ჯოვანი	ოლიმპიკოსი	10	306
ლარსონი	სელტიკი	10	540
რევივო	ფენერბაჩე	10	407
ბატისტუტა	რომა	9	396
დელ პიერო	იუვენტუსი	9	480
ანრი	არსენალი	9	449
ინძაგი	ლაციო	9	239
კინცილი	სპარტაკი	9	539
ტენა	პორტუ	9	510
ტრისტანი	დემორტივო	9	318
ალექსანდრისი	ოლიმპიკოსი	8	266
ბუქემი	მანჩესტერი	8	539
ბრდარიჩი	ლევერკუზენი	8	131
ენდი კოული	მანჩესტერი	8	114
კრესპო	ლაციო	8	376
ფაულერი	ლივერპული	8	130
ნოვილი	ლევერკუზენი	8	416
ტრეზეგე	იუვენტუსი	8	404
აგატი	სელტიკი	7	540
კლაუდიო ლოპესი	ლაციო	7	412
დინდანე	ანდერლესტი	7	422
ელბერი	ბაიერნი	7	306

ყვითელი ბარათები

ანანკო	სპარტაკი	3	328
ასამოა	შალკე	3	258
დავიდსი	იუვენტუსი	3	343
დე შაანი	ფეინორდტი	3	434
მარიუ სილვა	ბოავიშტა	3	492
ლუის ენრიკე	ბარსელონა	3	403
ობრადოვიჩი	ლოკომოტივი	3	426
პლასენტი	ლევერკუზენი	3	450
პუიოლი	ბარსელონა	3	501
რაპაიჩი	ფენერბაჩე	3	315
აგალი	შალკე	2	270
აქდენიზი	ფენერბაჩე	2	347
კაფუ	რომა	2	504
კოკუ	ბარსელონა	2	450
კოშტინია	პორტუ	2	475
დე ბუკი	ანდერლესტი	2	450
დედე	დორტმუნდი	2	540
ჯემბა	ნანტი	2	381
ჯორჯევიჩი	ოლიმპიკოსი	2	440
ფაჰმი	ლილი	2	540
ფავალი	ლაციო	2	432
ფიგუ	რეალი	2	448
ფისასი	პანათინიკოსი	2	540
ფრეშაუ	ბოავიშტა	2	540
გავრანჩიჩი	დინამო	2	452
გომეში	ბოავიშტა	2	256
ჰამანი	ლივერპული	2	450
ჰასან შაში	გალათასარაი	2	540
ელდერი	პორტუ	2	73
ჟოფლანდი	პსვ ვინდჰოვენი	2	450

იმის მიხედვით, თუ რომელი საათია ახლა, როცა გაზუთს კითხულობთ, ეს ცნობა შესაძლოა გვარიანად მოძველებულიც იყოს. ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრაზე მოგახსენებთ, რომელიც დღეს ჟენევაში შედგება ჩვენი დროით 15 საათზე (ან უკვე შედგა, თუ გაზუთს კითხვა უფრო გვიან დაიწყეთ).

კენჭისყრის წინ, როგორც წესია, თექვსმეტი შემორჩენილი გუნდი ჯალათებად დაჰყვეს. პირველი კალათა: „ბაიერნი“, „რეალი“, „ბარსელონა“, „იუვენტუსი“ მეორე კალათა: „ლივერპული“, „დემორტივო“, „ნანტი“, „პანათინიკოსი“ მესამე კალათა: „მანჩესტერი“, „არსენალი“, „პორტუ“, „გალათასარაი“ მეოთხე კალათა: „რომა“, „ლივერპული“, „სპარტაკი“, „ბოავიშტა“

ღაბულაბის თანახმად, ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებიან გუნდები, რომლებიც: 1. ერთ ხალათაში არიან განთავსდნენ 2. ერთ ქვეყანას წარმოადგენენ 3. პირველ ეტაპზე ერთ ჯგუფში თავმოყრილნი

პარმას გაცდა რაც უფრო უფრო

რაც უფრო უფრო თანამედროვე ნებით დაბრუნა

რაც უფრო უფრო „პარმა“ მწვრთნელის პოსტიდან გადადგა, თან განაცხადა, რომ ეს საუკეთესო გამოსავალი იყო შექმნილი ვითარებიდან. კლუბის საინტერნეტო გვერდზე ყოფილმა თავკაცმა თქვა, რომ „პარმაში“ თავის მუშაობას წარმატებულად არ მიჩნევს. გადაწყვეტილების მიღების წინა დღეს იგი ქომაგთა ჯგუფს შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ ხალხს მისი წასვლა არ მოუთხოვია, მაინც გადადგა. უნდა ითქვას ისიც, რომ ულივიერისთან „პარმა“ დირექტორატს და პრეზიდენტს პრეტენზიები არ ჰქონიათ. ყოფილმა მწვრთნელმა ასევე თქვა: „არავის დაუძალებია ის, რაც გავაკეთეთ. თავად ვარჩიე გადადგომა. მჯერა, ახალი მწვრთნელი გუნდს კარგ შედეგებს მიღწევინებს.“

სთან ამუშავა. 1991-დან 96 წლამდე მან იტალიის ნაკრებშიც იმუშავა — იქაც თანამედროვე. ამის მერე ესპანეთში წავიდა და ერთი ხანი მადრიდის „ატლეტიკოში“ გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ პიეტრო კარმიჯანი უკვე დანიშნეს, ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში „პარმაში“ ახალ მწვრთნელს უნდა ველოდოთ, რაკი კარმიჯანი „პარმას“ ამბიციის დონისა არ არის. ყველაზე რეალურ კანდიდატად კარლო ანელიტის მიიჩნევენ, რომელიც „პარმაში“ ადრეც მუშაობდა და პოსტი 1998 წელს დატოვა, რათა „იუვენტუსის“ წაღვლილად სათავეში შეეყვანა. ანელიტომ „კორიერე დელო სპორტს“ განუცხადა: „მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს, თუმცა ვერ უნდა დავფიქრდე.“



პიეტრო კარმიჯანიმ რენცო ულივიერი შეცვალა

შესაძლოა, „პარმა“ სათავეში დაინიშნოს პასარელა მინილე, რომელიც დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებს კლუბის მენეჯერს ტანციტის ოჯახთან. შეგადამე მარკო ტარდელის სახელიც გაისმო, რომელიც როგორც გახსოვთ, ბოლოს მილანის „ინტერს“ ედგა სათავეში.

იტალიური პრესის ვარაუდით, პრეზიდენტმა სტეფანო ტანციტი უახლოეს მომავალში უნდა გააკეთოს არჩევანი „უახლოეს დღეებში ორი რთული მატი გველის არჩერება საჭირო არ არის“ — თქვა პასუსხად „პარმას“ პირველმა პირმა.



ნიკა ზუბლაძე

ნესტა-კრესპო არ ვიცი, ფული მჭირდება

ამბროსინი, ფულის შოვნა მხელია, მისი გონივრულად დახარჯვა კიდევ უფრო მხელია. ხუან სებასტიან ვერონისა და პაველ ნედედის გაყიდვის შემდეგ „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ ახალი გუნდის შექმნა გადაწყვიტა და ბლომად ფულიც დახარჯა. ამ საქმიდან რაც გამოვიდა, გულშემატკივრებმა კარგად იცნან. ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიდან გავარდნის გამო კლუბმა დიდ დანახარჯს ამიტომ კრანიოტიმ ამ კრიზისიდან გამოსვლის გეგმა მოიფიქრა.

რომ „ლაციოს“ კაპიტანი რამდენიმე თვის შემდეგ სხვა კლუბში ვიხილოთ. მადრიდის „რეალი“ მზადაა, ფეხბურთელში 48 მილიონი დოლარი გადაიხადოს, მაგრამ რომელიც უფრო მეტს ითხოვს. ამ საკითხთან დაკავშირებით ორ კლუბს შორის მოლაპარაკება ამ კვირაში დაიწყება.

„ნანტი“ მარცხის შემდეგ კლუბის პრეზიდენტმა არაორაზროვნად მიანიშნა მოთამაშეებს, ვიდაც-ვიდაც ებნის გაყიდვა მომიწევსო. გასაყიდვად სიაში უპირველესი კანდიდატია კაპიტანი ალესანდრო ნესტა — „ლაციოს“ სიმბოლო და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მცველი. კრანიოტისთვის კი ნესტა მხოლოდ იმ ფულის შოვნის საშუალებაა, რომელიც ფირმის ფინანსურ საქმეებს მოაგვარებს.

გაზა ხუციშვილი



სერჯო კრანიოტისთვის ერთან კრესპო ოდენ ფულის დასტა

დარდნიანი დიდებულები

საღმრთო 4:3 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (19), 1:1 ვალგერენი (24), 2:1 სატონი (45), 2:2 ტრეზეგე (51), 3:2 ლარსონი (57), 4:2 სატონი (64), 4:3 ტრეზეგე (77)

სელტიკი: დელგლასი, მიალი, ვალგერენი, ბოლდე, აგბტი, ლამბერტი, ლინი, მორაჟიკო (ს. პეტროვი 65), პეტა, ლარსონი, სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი
იუვენტუსი: კარინი, ფარარა, ბორინდელი, იულიანო, ბარა-მატი, ძინი, მარესკა (ფარარა 81), ტაკინარდი, ნედედი, დელ პიერო (ტრეზეგე 46), ამორუზო (პესოტო 67)

მწვრთნელი: მარჩელო ლიბი
გაფრთხილება: მორაჟიკო, ვალგერენი, ნედედი, იულიანო, ფარარა

მაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)
57 717 მაფურებული

გლაზგოელები ამაყად გამოეთიშნენ ჩემპიონთა ლიგას — შინ „იუვენტუსის“ 4:3 ძლევაში დიდი ემოციები და საში ქულა მოუტანათ, მაგრამ შემდგომ ეტაპზე გასვლა მაინც ვერ შეძლეს.

„ჩვენი გუნდების პირველი შეხვედრა, ტური-ნში, ძალიან მძიმე იყო, დღეს კი მოწინააღმდეგე კიდევ უფრო დიდი პრობლემები შეგვიქმნა“ — თქვა მატჩის შემდეგ იტალიის ვიცე-ჩემპიონის მწვრთნელმა მარჩელო ლიბიმ — „გარდა იმისა, რომ ფიზიკურად მომზადებული გუნდია, „სელტიკი“ ჩინებული ორგანიზაციითაც გამოირჩევა და ორი საუცხოო თავდამსხმელიც ჰყავს, ჰენრიკ ლარსონი და კრის სატონი. ექვი არ შეპარება, რომ მათ უფასო თასზე ძალიან კარგად შეუძლიათ გამოხველა“.

„სელტიკის“ მწვრთნელი მარტინ ონილი: „ჩვენმა ფეხბურთელებმა საკუთარი კლუბი ასახელეს. მტერს ვეღარაფერს მოვთხოვდი. ჩვენ დიდებული ფეხბურთი ვითამაშეთ. დიდებული ფეხბურთი ითამაშა „იუვენტუსმა“, თუმცა ამ ჩინებულ დღეს სამწუხარო ბოლო აღმოჩნდა, ჩვენ გავარდით. „იუვენტუსის“ სიძლიერის გუნდის ამხელა წინეხში მოქცევა და მის კარში ოთხი გოლის გატანა, სრულიად წარმოუდგენელი რამ არის. ვადონსურად ითამაშა ლუბომირ მორაჟიკმა, შეუღარებელი გახლდათ კრის სატონი, თუმცა ისინი, ყველანი, გასახდელში მოწყენილები იხსდნენ“.

საუცხოო შეხვედრას „პარკ ჰედზე“ 57 717 გულშემატკივარი ესწრებოდა, რომელმაც პირვე-

ლი გოლი მასპინძელთა კარში იხილა. გაშვებულ გოლს „სელტიკმა“ შესვენებამდე ორი გატანილით უპასუხა. პირველი ჯოს ვალგერენმა შეაგდო, ხოლო მეორე — კრის სატონმა.

შესვენების შემდეგ ტურინელებმა ანგარიში გაათანაბრეს — მოედანზე ექვსი წუთის შესულმა დავიდ ტრეზეგემ მიაღწია საწაფელს, მაგრამ ამას ისევ მასპინძელთა აღმაფრენა მოჰყვა: ჯერ ჰენრიკ ლარსონმა პენალტით, ხოლო შემდეგ ისევ სატონმა „სელტიკი“ დააწინაურეს. ბოლოს მეორე გოლი ტრეზეგემაც შეაგდო.

„აქ, შინაურ კედლებში ლიგის სამივე თამაში მოვიგეთ, რაც დებიუტანტისთვის კარგი შედეგია. შემდგომ ეტაპზე გასვლა არ გამოვიდა, მაგრამ ფეხბურთელებმა თავგანწირვით იბრძოლეს“ — ამაყად დაავიწყებინა ონილიმა.

პორტუგალიელები

50 ბუნა (36)

პორტუგალიელები: პაპა, მარო სილვა, ფორანდუ კარვალუ, კომპანია (ფრანკო 77), პარედესა, დევი სოუზა, კულიტონი (სოფრისტრიონი 68), ნუნუ კაბუშუ (სანდიევი 68), ჰენა

მწვრთნელი: ოტტავიუ მარაფუ
რეალმა: ბრანკო, ბ. იონსონი, პოფტუნო (ნუნუ 46), პასა, სტენსონი, სკამელსრუდი, ბურგი (ვინსენტი 87), სტრანდი, ფ. იონსონი, ბრაბატიკი (ჯორჯი 65), ოლსონი

მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
გაფრთხილება: სტრანდი, მარო სილვა
მაჯი: პარტაშვილი (გერმანია)
30 000 მაფურებული

„პორტუგალიელები“ ვეროპის 16 საუკეთესო კლუბს შორის დაიბეგა ადგილი. ნორვეგიულ „რუსენბორგთან“ შეხვედრაში მასპინძლები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ გამარჯვება მაინც არ მოუვიდათ იოლად, რაც ანგარიშდამანაც ჩანს. „დასანტასის“ სტადიონზე გამოცხადებულმა ამაყმა, რომ გლაზგოში „სელტიკი“ „იუვენტუსს“ უგებდა, ტრიბუნებზე შეკრებილი ქომაგები ააღელვა და საკუთარი გუნდის გასაფრთხილებლად და წასაქებლად დიდი ხმაურიც ატყდა.

უნდა აღინიშნოს, რომ „პორტუს“ თავდასხმა ერთობ დალაგებული და მწვავე გახლდათ, რის გამოც „რუსენბორგის“ კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, თუმცა გოლი 38-ე წუთამდე არ გასულა. 38-ე წუთზე კი კლეიტონის

პასით პენიამ თავით შეაგდო. ამის შემდეგ მასპინძლებს კიდევ მიეცათ გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მეორე ტაიმი ნორვეგიელთა გადაჯგუფების გამო გაცილებით თანაბარი გამოდგა. ორივე გუნდი დიდი მონდობით ცდილობდა მდგომარეობის შეცვლას, მაგრამ... მსაჯის წამბეჭებულ წუთებში იყო მომენტი, როდესაც სტუმრების ჩაწოდებულ ბურთს პაულუ სანტუსმა კრისტერ ჯორჯის მიმართულებით წააკრა ხელი, ჯორჯის თავურის შემდეგ ბურთი კარის ხაზის გასწვრივ გაგორდა, სადაც მას კინაღამ ბენტ იონსენმა გააკრა ფეხი, მაგრამ კინაღამ, თუეინდ საქმე მილიმეტრებს ეხებოდას, მოგე-

სენებთ, არ ითვლება.

ასე და ამგვარად, მასპინძლები გადარჩნენ და თანაქალაქელ „ბოავისტას“ ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე შეუერთდნენ.

გაგონა კმედა

საბოლოო ცხრილი

იუვენტუსი	6	3	2	1	11:8	11
პორტუ	6	3	1	2	7:5	10
სელტიკი	6	3	0	3	8:11	9
რუსენბორგი	6	1	1	4	4:6	4

„იუვენტუსი“ და „პორტუ“ გაიყარნენ მეორე ეტაპზე „სელტიკი“ უფასო თასზე



სელტიკი — იუვენტუსი. იტალიელები აღესანდრო დელ პიერომ „საფრანგო“ საჭარბოთი დააწინაურა

რა გინდოდა, რას გვეჩქოდი?!

ლილი 1:1 მანჩესტერი


0:1 სოლსკიერი (6), 1:1 შერიუ (65)

ლილი: უამბე, ცკერი, სიგანი, ფაბო, ბიშო, ბრუნო შერიუ, დამიკო, პუტოლი (ბეკი 57), ნდიე (ლანდრინი 86), ბასილი (მურატი 78), სტერიოტაკი

მწვრთნელი: ვაბიძე მალალოზოვიჩი

მანჩესტერი: კროლი, ფ. ნევილი, სილვესტრი, მეი (ოზი 69), ირვინი, ბექემი, ბათი, სტოულზი, ფორმანი, ტენდი კოული (ორტი 76), სოლსკიერი

მწვრთნელი: ალექს ფერეირა
გაფრთხილება: ფაბო, სტოულზი, ბათი, ბიშო
მაჯი: ურს მთიერი (შვიცარიანი)
35 000 მაფურებული



ლილი — მანჩესტერი. ფრანგების შემწუხებელი პოლ სტოულზი (მურთით)

ლილეელი ბრუნო შერიუს გოლმა „მანჩესტერ იუნაიტედს“ ვერაფერი დააკლო, „ოლიმპიკოსს“ კი საქმე წაუხდინა, რაკი უფასო თასზე ევროთასების დებიუტანტი „ლილი“ გადავიდა.

მატჩი ექვსიოდე წუთის დაწყებული იყო, როცა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩენილმა ოლე გუნარ სოლსკიერმა თავისიანები დააწინაურა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ როი ქეროლი, ქვენტინ ფორჩუნი, ენდი კოული, დევიდ მეი და სოლსკიერი უკეთეს ფეხბურთის თამაშობდნენ, ვიდრე ისინი, რომელთაც სერ ალექს ფერეირა ჩვეულებრივ ენდობა ხოლმე.

სოლსკიერმა, ვინაც წინა ტურში „ოლიმპიკოსსაც“ გაუტანა, ერთხელაც დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია. დევიდ ბექემის ტკიანური პასის შემდეგ მან ბურთი უცნაური ტრექტორიით დაატრიალა და მარჯვენა „ცხრიანში“ ჩააჭვდა.

უქმად არც ჩრდილოელი ფრანგები ყოფილან. ისინი მრავალრიცხოვანი პასებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, თუმცა ამგვარად ენგლისელთა დაცვა გასაოცრად საიმედოდ ირჯებოდა — ეტყობა, ფაბიენ ბარტეზისა და უესლი ბრაუნის არყოფნამ სასიკეთოდ იმოქმედა.

„იუნაიტედის“ წინა ხაზიდან კი გამოირჩეოდნენ ენდი კოული, რომელმაც ორჯერ ძალიან სახიფათოდ შეუტია და დევიდ ბექემი, ვისი საჯარო ღირსებაც ონდამ ასცდა მიზანს — აბა, ყოველთვის ხომ ვერ გაიტანს. არ დაგავიწყდეს სტოულზიც, რომელიც ფერეირას ცენტრალურ ნახევარმცველად ჰყავდა გამოწვეული. მან ჩინებულად ითამაშა.

ლილეელთა საპასუხო გოლი კი სილვენ ნდიემ მოამწიფა, შერიუს კარგი პასი მისცა და ამასაც, სანამ ქეროლს გაუტანდა, ორი მკველის ჩამოტოვება დასჭირდა.

ოლიმპიკოსი

41 ალექსანდრისი (51), 1:1 კამპევილა (83)

ოლიმპიკოსი: გეორგიუსი, პავლოვლუ, ანანტიდისი (კო-სტოლასი 22), იანკოპოლი, კარამბუ, ჰ. ჯორჯევიჩი, მარკოვიჩი (ნინიადისი 46), ოფორი კუაი (მურსანიდისი 65), კონტისი, ალექსანდრისი, ანატოლაკისი

მწვრთნელი: პანაიოტის ლემონისი
დინამო: ნუნო, სესარი (დონატო 41), მარო სილვა (ბენდიანი 62), მაკაი, ვალანია, სკალინი, ენოსონი, კამპევილა, ელდერი, ეტორი (ამაფისკა 52), ხოსე მარნელი

მწვრთნელი: სავიერ ირუერტა
გაფრთხილება: მურსანიდისი, სკალინი, ჯორჯევიჩი
მაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
28 000 მაფურებული

ხუნა კამპევილა მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე ბურთს თავი დაჰკრა

და „სპიროს ლუისზე“ თავმოყრილ 35 ათას ბერძენს ცივი წყალი გადასახა, ჩაჩუმა, თვალზე ცრემლი მოაღინა — მოკლედ, „ოლიმპიკოსი“ პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. „დეპორტივოს“ კი რა? განსაკუთრებული არაფერი, კამპევილას ამ გოლით ჯგუფში პირველი ადგილი ედაიკავა, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით ეს არაფერს ნიშნავს.

51-ე წუთზე ალექსის ალექსანდრისმა ანგარიში გახსნა და ისე ჩანდა, „ოლიმპიკოსი“ უფასო თასზე უნდა გამძვინვარებოდა, რაკი ამ დროისთვის „ლილი“ შინ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მარცხდებოდა. მაგრამ თავში ნახსენებ 83-ე წუთზე ლაკორუნელი ბრაზილიელმა ჯალმინიამ კუთხური ჩაწოდა, რასაც ბერძენთა კარის დარაჯის, ანგულოს გეორგიუსის საბედისწერო შეცდომა მოჰყვა. მან ბურთი ვერ დაიჭირა. ექვე კი კამპევილა ჩასაფრებულიყო... მასპინძლებს ძირითადი მეკარე დიმიტრის ელფთერეფულოსი რომ ჰყოლოდათ, იქნებ მათი ბედი წაღმა დატრიალებულიყო, მაგრამ ითიები უტკენია, გეორგიუსმა კი ვერ ივარგა. აქვე შევნიშნოთ, რომ ხავიერ ირურეტას, თავის მხრივ, ექვსი კაცი აკლდა, მათ შორის მეგობრული ტრისტანიც.

ალექსანდრისის პირველი გოლი კი პირესოელთა იუგოსლავიელ პრადრავ ჯორჯევიჩის ხეირიან გარჯას მოჰყვა, ვინაც ალექსანდრისის საგოლე პოზიციაზე გაიყვანა. ამან კი სტუმართა მეკარე ნუნოს ბურთი ფეხებს შორის გაუძვინა. „ოლიმპიკოსს“ პირველ ტაიმიც ჰქონდა საბიერებელი უკეთესი მომენტი. ალექსანდრისის ნუნოსთან პირისპირ დარჩა და ვერ ივარგა. გაწეული ოფორი კუაიეც დარჩა ნუნოსთან ერთი ერთზე, მაგრამ ბურთი გაეჭვა და მეკარის ლუგმა გახდა, ხოლო გეორგიუსის ანატოლაკისმა ონდავ გადააცილა ხარისხს. განელმა წამატებულ წუთებზეც ვერ ივარგა, როცა ანატოლაკისის პასი გოლად უნდა ექცია — ისევ ნუნომ იფრიალა.

გალისიელთაგან კი ორიოდე ხეირიანი მომენტი გუნდში დაბრუნებულმა ჯალმინიამ და მისმავე თანამემამულე კოშტა ემერსონმა შექმნეს.

გიორგი დარჯანია

საბოლოო ცხრილი

დინამო	6	2	4	0	10:8	10
მანჩესტერი	6	3	1	2	10:6	10
ლილი	6	1	3	2	7:7	6
ოლიმპიკოსი	6	1	2	3	6:12	5

„დინამო“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ გაიყარნენ მეორე ეტაპზე „ლილი“ უფასო თასზე

ლიბა, განა პოსტანი?!

ლიბერტადი 24 ლიონი
 0:2 კარერი (32, 38), 1:2 სებესკენი (45), 2:2 ბერბატოვი (52), 2:3 ნე (64), 2:4 გოფე (81)
ლიბერტადი 24 ლიონი: ბუტი, სებესკენი, ლუსიო, ვიგორანი, ბლასკო, შნაიდერი, ოვიდო (მაშაუჩი 46), ზე რობერტო, ბერბატოვი (დაუნი 72), ბრადარი, ვრანიეზი
წვრთნელი: კლაუს ტომპოლერი
ლიონი: კუბე, დევილანდრი, შანელი, ლაფილი, ლეგლი, კაროერი (ვიოლი 76), ტონინი (გოფე 68), დელმოტი, მიულერი, ნე, ლინარესი
წვრთნელი: ფრე სანტინი
გაფრთხილება: მიულერი, სებესკენი, ლეგლი
მსაჯე: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
 22 500 მაყურებელი

შედეგები ითქვას, რომ ლიბერტადში ვაგუფური ეტაპი სახეიმიდ დაიხურა. სტადიონზე მისულმა გულშემატკივრებმა ერთბაშად ექვსი გოლი იხილეს. გერმანელთა სამწუხაროდ, ამ ექვსიდან ოთხი მათი გუნდის კარში გავიდა და „ბაიერმა“ ლიგაში გამოსვლა მინორულ ნიტზე დაასრულა. გასსოვთ ალბათ, რომ ლიონში კლაუს ტომპოლერის ბიჭებმა იმარჯვეს, პოდა, ერთგვარი რევანში შეედა. მასპინძელთა მწვრთნელმა გუშინწინდელ შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი არ ათამაშა — ბუნდესლიგის მომავალ ტურში ხომ „ბაიერს“ „კაიზერსლაუტერნთან“ პაექრობა ელის. ტომპოლერი არ მალავს, რომ მის გუნდს ბუნდესლიგის ჩემპიონობა სურს, ამიტომ მოთამაშეები დაასვენა. უკეთეს დროს ვეღარც ნახავდა „ბაიერის“ დამრიგებელი, მის შევირდებს მეორე ეტაპზე ადგილი დაჯავშნული ჰქონდათ და სირბილთაც აღარ მოუკლავთ თავი. თუმცა კი მამინ, როცა 38-ე წუთისთვის უკვე ორბურთიანი სხვაობით ავებდნენ, „ლიბერტადის“ მძინც გამონახეს ძალა, ანგარიში გაეთანაბრებინათ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს მათ ბრძოლისუნარიანობაზე. მალაზე მოსულმა მასპინძლებმა უკანმოუხედავად შეუტყის და შედეგად საკუთარ კარში ორი გოლი მიიღეს. ასე რომ, „ლიონი“ საკმაოდ კარგი რეპეტიცია გამოუვიდა. საფრანგეთის ჩემპიონატის მომავალი ტურის მატჩში ისინი უშუალო კონკურენტს, დაუმარცხებელ „ლილს“ უმასპინძლებენ.

ბარსელონა XI ვინეგრამა
 1:0 რივალდო (90)
ბარსელონა: რენა, რაიციგერი, ბუიოლი, ფ. დე ბურა, ხავი, სერარდი, გამბრი, ჯოვანი (რომეშაი 57), ოვერმარსი (ალ-ფონსი 80), რივალდო, საიოლა (დანი 74)
წვრთნელი: კარლოს რექსანი
ვინეგრამა: რუმოუ, მერინი, დოგანი, რაბაიზი (იუსუფი 79), აქინი, ბეჩენიზი, უმით ოზბეტი, ლაზეტიჩი, აბდულა (ბაირაქთარი 76), ჯოვანი, გიუნეზი (ჩეიხუნი 89)
წვრთნელი: მუსტაფა დენიზლი
გაფრთხილება: ბუიოლი, რაიციგერი, მერინი, რაბაიზი, აქინი
მსაჯე: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
 45 000 მაყურებელი

სტამბოლი, ისევე როგორც თბილისი, პირობითად დაყოფილია უბნებად. უბანი, რომლის გუნდიც „ფენერბაჩეა“, თავის დროზე ბალ-ბოსტინებით იყო მოთვნილი. ერთ მშვენიერ დღეს მავანმა თურქმა იქ საფეხბურთო გუნდის გაკეთება გადაწყვიტა. ასე შეიქმნა „ფენერბაჩე“. ისე ჯობდა ისევე ხახუნორი მოეყვანათ, იქნებ მეტი ხეირი ენახათ. რას მაღწია ლიგაში „ფენერბაჩე“? — სლოვაკური „კოშიცეს“ 1997-98 წლების ანტირეკორდი გაიმორა, ანუ ვაგუფური ეტაპი უქულოდ დაასრულა. არადა, დამატებულ დროში რივალდოს რომ არ გაეტანა, „ფენერბაჩე“ პირველი თურქული გუნდი გახდებოდა, ვინც „კაპი ნოუზე“ მოიპოვებდა. სამაგიეროდ, ამ მოგებით „ბარსელონამ“ ლიგაში ყველაზე მეტი, 15 ქულა მოაგროვა და თავისი გამოსვლა უფრო შთამბეჭდავი გახადა. მუსტაფა დენიზლი: „ვფიქრობ, ასეთ დამცირებას არ ვიმსახურებდით. ცხადია, მეორე ეტაპზე გასვლის პრეტენზიები არ გექონდა, მაგრამ ექვსი წაგება ჩვენი გუნდის რეალური დონეს მაინც არ ასახავს. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს ამას დაემატოვებთ.“
 კარლოს რექსანის აზრით კი გუშინწინდელი შეხვედრა ამხანაგურ გაჯიბრებას უფრო ჰგავდა. „ბარსელონა“ აშკარად ზოგავდა ძალას, მას ხომ კვირას „რეალთან“ მატჩი ელის. რექსანმა გუნდი სამი მცველით ათამაშა, რამაც გულშემატკივრებზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ალბათ იმიტომ, რომ „ბარსას“ უკანახახელები ხშირად ცდებოდნენ. მეორე ტაიმში მასპინძლებმა ტექსს

უმატეს და ოდნავ გამოცოცხლდნენ, თუმცა ერთ მომენტში ფრანკ დე ბურის უხეში შეცდომის გამო თურქებმა კინაღამ დასაჯეს. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი „ბარსელონას“ შეათე ნომერმა თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმით „ფენერბაჩე“ ანტირეკორდსდენი გახადა.



ლეგერბაჩე — ლიონი. „ლეგერბაჩეს“ ბრძოლიელმა ზე რობერტომ საშასავით წაუცვკა

საბურთალოსი ცხრილი

ბარსელონა	6	5	0	2	14:5	11
ლეგერბაჩე	6	4	0	2	10:9	12
ლიონი	6	3	0	3	10:9	9
ფენერბაჩე	6	0	0	6	3:12	0

„ბარსელონა“ და „ლეგერბაჩე“ გაფიქრებ მუორე ეტაპზე „ლიონი“ უფას თასზე


ფინიშური 24 სპარტაკი
 1:0 ტომასონი (5), 1:1 ბუქსანტინი (14), 2:1 ელმანდერი (18)
ფინიშური: ზუტებირი, კოლნი (ვან გასტილი 64), გიანი, დე შანი, რესა, ემერტინი, ბოსელტი, პაუფე ონი, ტომასონი, ელმანდერი (შოლარეკი 88)
წვრთნელი: ბერტ ვან შარვიკი
სპარტაკი: ლიუცია, კოვტუნი, მშხანაძე (პაულკო 83), ბრეფინი, მიტრუსკი, ბარანოვი, ბუჯალტოვი, ტიტოვი, ცინხესტრუკი, ბუქსანტინი, როსონი (დანისუვი 75)
წვრთნელი: ოლეგ რომანცივი
გაფრთხილება: მიტრუსკი, დე შანი
მსაჯე: გრაციანო ჩეზარი (იტალია)
 45 000 მაყურებელი

როტერდამში უფას თასზე გამსვლელის ვინაობა უნდა გარკვეულიყო. უკეთეს ვითარებაში მასპინძლები იყვნენ, რადგან მესამე ადგილის დასაკავებლად 0:1 და 1:0-ც აწყობდით, მაგრამ საკუთარი მყურებლის თვალწინ თავი არ შეირცხვინეს და გაიმარჯვეს. „სპარტაკი“ კი ტურირი მოუგებლად ჩამთავრა, მხოლოდ ორი ქულა მოაგროვა და სამართლიანად დაიკავა ბოლო ადგილი. მართალია, მოსკოველებს სადღაც არც გაუმართლათ, მეორე ტაიმში ცინხესტრუკმა და ბესნასტინმა ბურთი ძელს გაარტყეს, ხოლო კოვტუნს გოლი საუჭვოდ არ ჩაუთვალეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაფერი ლოგიკურად დამთავრდა.
 სპარტაკელთა მთავარი პრობლემა სენეგალელი კეპეს შემცვლელის მოძებნა გახლდათ, რომელიც ბოლო მატჩებში დაცვის მარცხენა ფრთაზე საუცხოოდ თამაშობდა. წესით, მწვრთნელს ორი ვარიანტიდან უნდა აერჩიათ, სასტარტოში ან კუპრიანოვი, ანაც ბულატოვი დაეყენებინათ, მაგრამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს და ქართველი კახა მჟავანაძე ირჩიეს, რომელსაც რუსეთის ჩემპიონატში სულ სამჯერ უთამაშია. მჟავანაძემ წინა ცენტრალური მცველის ადგილი დაიკავა, ხოლო მარცხნივ კოვტუნმა გადაინაცვლა.
 ქომაგებისგან გაგულისებულმა როტერდამელებმა თავიდანვე შეუტყის და მალევე გაიტანეს კიდევ ბოსველტმა მარჯვენა ფრთაზე ავსტრალიელი ემერტინი მოძებნა, ამან ბურთი ტომასონს დაუგორა და დანიელმა მანსი ხელიდან არ გაუშვა. რამდენიმე წუთში ტომასონს ისევ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ თხუთმეტი მეტრიდან შეკარე ლევიციის ხელებში დაურტყა. მეორე „სპარტაკის“ ჯერი დადგა. კომბინაცია, რომელშიც ბარანოვი, ტიტოვი და ცინხესტრუკი მონაწილეობდნენ, ბესნასტინის გოლით დამთავრდა. თუმცა თანაბრობა დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა. ოთხ წუთში პაუკეს ჩაწოდებულ ბურთის მჟავანაძე ვერ მისწვდა და შედეგის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე ელმანდერმა მეორე შეაგდო.
 მომენტები ორივე გუნდს კიდევ ჰქონდა. ბოლო წუთზე შეკარე ლევიციამ სპარტელ კოლეგა ჩენს მიზანა და მოწინააღმდეგის საჯარიმოში ჩაირბინა, მაგრამ მის მონღომებას შედეგი არ მოჰყოლია.

მშვიდობის, უმშვიდობის და სუსტების მომავალი

„ფეიქთორდის“ მწვრთნელი ბერტ ვან შარვიკი, ცხადია კმაყოფილი იყო: „სპარტაკი“ ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით მათი თავდასხმელები მომწონს. აი, დაცვაში კი პრობლემები აქვთ და ეს სისუსტეები კარგად გამოვიყენეთ.“
 „სპარტაკის“ მწვრთნელი ვაჩესლავ გროზნი ათი-სშაბათს ძირითადის სამი მცველი — ანანკო, სენეგალელი კეპე და კამერუნელი ჩუისე გვაკლდა.

მჟავანაძე კი, რომელსაც თამაში მთლად კარგად არ წაუვიდა, ვარჯიშებზე და „აღულებში“ გამოირჩეოდა, ამიტომაც ვთამაშეთ. მართალია, მან შეცდომები დაუშვა, მაგრამ ახალგაზრდობა „სპარტაკის“ მომავალია და მათ თავის გამოჩენის საშუალება უნდა მიეცეთ. ლიგის გამოცდილებას მიიღებენ და გაიხად უკეთ თამაშებენ“. აი, ასეთი იყო მჟავანაძის დებულები ჩემპიონთა ლიგაში.



ფეიქთორდი — სპარტაკი. ალექსანდრ ბესნასტინის ორი გატანილიდან ერთი ჩაუთვალეს

საინტერესოა ერთი გულშემატკივრის მოსახრება, რომელიც „იხვესტის“ ვებ-გვერდზე წერია. აი, რას ფიქრობს „სპარტაკის“ მავანი ქომაგი: „ცხადია, რომ შემადგენლობა შეიცვლება ნეტავ რა მოხდება? ან რომანცივი გააგრძელებს თავის „არავითარ“ სელექციას“ და კვლავაც იყიდის მშვიდერ ხანგებს, უმშვეკარ იუგოსლავიელებსა და სუსტ უკრაინელებს, ანაც ფეხბურთელებს რუსეთში და „სპარტაკის“ სკოლაში მოძებნის...“

სპარტაკი XI ბაიერი
 0:1 ნოლოტნი (40სკ)
სპარტაკი: ჩეი, გრიგორა, მუხმანი, ორი ნოლოტნი, ლმანტი, სონკო, პაშევი (სლონიკი 70), იაროშევი, მიხალევი (მოლუბი 81), ბაბნიკი (ზელენკა 53), კონკლი
წვრთნელი: იაროსლავ პრეხტი
ბაიერი: ვესელსი, კუფერი, ტიამი, ლინკე რ. კოვიჩი, ტორნტი, ფოლენერი, პარგრიევი (მაულო სერფიო 46), სფორცა, ციკლერი (ფინვი 88), მიხარო (სანტა კრუზი 73)
წვრთნელი: ოტმარ პიფფელდი
გაფრთხილება: ბაბნიკი, მიხარო
მსაჯე: ლიან პამერი (ლუქსემბურგი)
 19 369 მაყურებელი


ის ორივე ბუნელი უკვე გასულები იყვნენ მეორე ეტაპზე და თავი დიდად არ შეუწუხებიათ. „ბაიერმა“ ლამის მეორე შემადგენლობით ითამაშა. დამავებლები ხომ საკმარისზე მეტი ჰყავს და შეკარე ოლივერ კანიც დაასვენა. მის მაგიერ 22 წლის შტეფან ვესელსი ჩადგა კარში, რომელსაც ბუნდესლიგაშიც კი სულ სამი მატჩი აქვს ჩატარებული.
 ერთადერთი გოლი ჩეხებმა საკუთარ კარში შეაგდეს. ორი ნოლოტნიმ ალექსანდრ ციკლერთან ბრძოლისას მოახერხა და თავის შეკარეს გაუტანა. სხვა მხრივ კი მინდორზე უფრო პოზიციური თამაში მიდიოდა. მეტოქეები არ რისკდნენ და ფონს გასვლას შორი დარტყმებით ცდილობდნენ. პრადელები თითქოს უფრო აქტიურები იყვნენ, მაგრამ ნოლოტნის გოლმა თავგზა აუბინათ და ქაოსური შეტევები წამოიწვეს. შედეგად „ბაიერმა“ მშვიდობით მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე.
 „ჩვენი ამოცანა მოგება და ვაგუფში პირველობა იყო — თქვა მიუნხენელთა მწვრთნელმა ოტმარ პიფფელდმა — ცვდილობდით, ბურთი გვეკონტროლებინათ და კონტრშეტევებზე გვეთამაშა. შესაძლოა, ყველაფერი კარგად არ გამოვივიდა, მაგრამ მთავარია, რომ მიზანს მივადწვიეთ.“

სილვანო გულსაზილი

საბურთალოსი ცხრილი						
ბაიერი	6	4	2	0	14:5	14
სპარტაკი	6	3	2	1	10:3	11
ფეიქთორდი	6	1	2	3	7:14	5
სპარტაკი	6	0	2	4	7:16	2

„ბაიერი“ და „სპარტაკი“ გაფიქრებ მუორე ეტაპზე „ფეიქთორდი“ უფას თასზე

ასოფლიოს ნაპოვნის შესახებ პაპი აზია. პლეი ოფი



ირანელი ჭარბი ბაგერი და ბაშირ საედი (№13)

საიქოდან მოგზავნილი ირანელი მსახიობი

საბასუსო მატჩი საბაირიანი 0:3 ირანი (0:1) 01 დეი (7), 02 ბაგერი (76), 03 მინაჟან ჩალი (79) მატჩის წინ ირანელი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩმა განაცხადა, ამ ორატუნდანი პრეზიდენტის ჩემპიონატში მონაწილეობა მათ არ გამოეყო, თავს მოვიკლავო. მისი სიტყვების მიხედვით, მისი სიტყვების მიხედვით, მისი სიტყვების მიხედვით...

საფრანგეთი

Table with 6 columns: Team, W, D, L, Goals For, Goals Against. Header: II დივიზიონი გადამდებული მატჩი სტრასბური 10 ნიში

გელგია

Table with 6 columns: Team, W, D, L, Goals For, Goals Against. Header: I დივიზიონი გადამდებული მატჩი ლუპინიანი 10 შარლერაუა

ინგლისი

Table with 6 columns: Team, W, D, L, Goals For, Goals Against. Header: I დივიზიონი. XVII ტური

შახვაშუთის რეპორაჟი

შახვაშუთის რეპორაჟი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეროვნული გუნდიდან წასვლას აპირებს. „ცხოვრებაში ბევრს მივაღწიე — თქვა ლეხევიჩმა — საერთოდ, როცა კარიერის მწვერვალზე ხარ, ჯობია წახვიდე კლუბს კი, ალბათ, ორი წელი კიდევ ვემსახურებო“. 33 წლის მცველი მარსელის „ოლიმპიკში“ თამაშობს და ახლანდელი კონტრაქტით კლუბში კიდევ ერთი წელი დარჩება.

იტალიაში 30 ახალგაზრდა მწვრთნელი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოსამზადებელ კურსებს გაივლის, რაც შემდგომ სერია A-ში სიმუშაოდ გამოადგება. მათ შორის იქნებიან გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელები — ბარეზი, ბერგომი, კაზიარაი და დონალონი. მოსამზადებელ გეგმაში შეტანილია ჯერჯერობით არც ისე ცნობილი სპეციალისტის, „კიევის“ მთავარი დამრიგებლის ლუიჯი დელ ნერის გამოცდა, რომელიც მომავალ მწვრთნელებს თავის წარმატებების რამდენიმე საიდუმლოს გაანდობს. ბარეზისა და ბერგომის პირველი ხარისხის მატჩების მიღება სურთ, რომელიც სერია A-ში სამუშაოდ აუცილებელია. ისინი ვერონაში 19-20 ნოემბრისათვის ჩავლენ.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ უდისციპლინო საქციელისთვის სერია A-ს კლუბები — „ლაციო“ და „ინტერი“ დააჯარიმა. კვირას, რომელიც ღრბისას, „ლაციოს“ ქომაგებმა რასისტული ლოზუნგები გამოიხატეს და პოლიციელების მამულალები დაუშინეს, რის გამოც იტალიის ბრინჯაოს პრიზიორის ბოუკეტი 37.5 ათასი დოლარით შემცირდა, ხოლო მსგავსი დარღვევებისთვის „ინტერი“ 16.4 ათასი დოლარით დააჯარიმეს. სერია A-ს კლუბებიდან ჯარიმებს ასევე ვერ გააღებენ „ატლანტა“, „ბრეშა“, „ოვერეტუსი“, „ლაციო“, „პარუჯა“ და „რომა“.

ბერძნული „ოლიმპიკოსის“ ლიბერელი ფეხბურთელი ზინი რობერტი სამშაბათს სასამართლოს სხდომაზე უდანაშაულოდ ცნეს. მას თაღლითობაში, კერძოდ, მოპარული ელექტრონული ბარათით სარგებლობაში ადანაშაულებდნენ, თუმცა შემდეგ გაიკვავა, რომ თვითონ ლიბერელი ყოფილა თაღლითობის მსხვერპლი. 22 წლის რობერტისთვის მოპარული 67 ათასი დოლარიანი ქვითარი კლუბ „პანინონოსის“ სალონოში მიუციათ. ამჟამად ფეხბურთელი თავისუფალია და მომავალი თამაშებისთვის ემზადება, „პანინონოსის“ ხელმძღვანელობამ კი განაცხადა, რომ მალე გაიკვავებს ყველაფერს.

სსპანელი თავდასხმელი, 29 წლის კიკო ნარვაესი გერმანულ „ნიურნბერგში“ გააგრძელებს კარიერას. „ნიურნბერგი“ ბუნდესლიგის ჩემპიონატის აუტსაიდერია, კიკო კი დღეს არც ერთი კლუბის განაცხადში არ ირიცხება. ფორვარდის აგენტი აცხადებს, რომ მისი კლიენტი ჯერ სამოლიციო შემოწმებას გაივლის და მერე გააფორმებს ხელშეკრულებას „ნიურნბერგთან“. კონტრაქტის დეტალები უცნობია.

ბრაზილიელი რომარიო კელავიკი ეროვნული ნაკრების მიღმა დარჩა. 35 წლის ვეტერანი ახლა ძალიან კარგ ფორმაშია, ეროვნულ ჩემპიონატში ვოლო ვოლენ გააქვს და ბოზარდირთა მარაქშიცაა გარეული. ლუიზ ფელიპე სკოლარის გადაწყვეტილებას ბრაზილიური „ტრიბუნა“ მოეწონა. ახლა, როცა ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ბოლივიასთან და ვენესუელასთან გადამწყვეტი მატჩები ელის, რომარიო ნაკრებში აუცილებლად უნდა ყოფილიყო.

რუმინელმა მწვრთნელმა მირა ლუჩესკუმ განაცხადა, რომ სამშობლოში დაბრუნების პერსპექტივა სულაც არ ხიბლავს, რადგან რუმინულ ფეხბურთში საყოველთაო კორუფციაა გაშვებული: „ასეთ სიბინძურეში არ დაბრუნდები, რუმინული ფეხბურთი მძიმე ავადმყოფი მაგონებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვალ სამშობლო, თუ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება. ბედნიერი ვარ, რომ „გალათასარაში“ ვიქნები. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის წინ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგეთ, გუნდი სანახაობრივ და შედეგან ფეხბურთს აჩვენებს. ეს ყოველივე მძიმე შრომის ნაყოფია.“ — აცხადებს ლუჩესკუ.

ინგლისურ გზით „დეილი რეკორდის“ ცნობით, „ნიუკასლ იუნაიტედის“ 22 წლის შავკანიანი ნახევარმცველი კირონ დიერი მწვენი მინდორს ერთ თვეში დაბრუნდება. მძიმე ტრავმამ ფეხბურთელი რვა თვის უსაქმოდ დატოვა, დაბრუნებასაც იმიტომ არ ჩქარობს, რომ ეწინააღმდეგება არ გაუშვინებდეს. მას მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში სურს, ტრავმირებული კი, ცხადია, არაგის დასჯირდება.

სსპანელი რაული და იტალიელი ფრანჩესკო ტოტი „კოჩის ბურთის“ მოპოვების რეალურ კანდიდატებად ითვლებიან. 17 ლექემბერს ციურხში უფვა პრიზის მფლობელის ვინაობას გაამხელს, თუმცა ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ უკვე მიიღო ეროვნული ნაკრებების მწვრთნელთა რეკომენდაცია, სადაც სწორედ მადრიდის „რეალის“ და „რომას“ თავდასხმელები ლიდერობენ. თუ რაული გაიმარჯვებს, გახდება პირველი ესპანელი, რომელიც ამ საპატიო ტიტულს — ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელობას — მიიხვეჭს.

იტალიური „რომას“ თავდასხმელ ვინჩენცო მონტელას გუშინ შენგენში მარცხნა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს. „უდიკოსები“ ორი საათის განმავლობაში დასტრიალებდნენ თავს პაციენტს, ოპერაციაში წარმატებით ჩაიბარა. როგორც იუწყებიან, ვინჩენცო მონტელა სულ ცოტა სამი თვე ვერ შეძლებს ახალ ფეხბურთის თამაშს, არამედ ვარჯიშსაც, ხოლო უახლოესი ორი კვირის მანძილზე დატვირთვებიც კი აკრძალულია.

კოლუმბიელი ექსტრავაგანტური მეკარე რენე იგუბა ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებს, მაგრამ კოლუმბიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ფრანსისკო მატურანას თქმით, მხოლოდ იმისთვის, რომ 10 ნოემბერს დიეგო მარადონას დიდი ფეხბურთიდან გასაცილებულ მატჩს კარგ ფორმაში შეხვდეს. 35 წლის იგუბა უკვე მერამდენე თვეა, რაც ფეხბურთს არ თამაშობს. იგი დღევანდელი კოლუმბიის ნაკრების ლიდერებთან — ველიტონ როტისთან, კარლოს ვალდერამასთან, ოსკარ და ივან კორდობასთან, ხორხე ბერმუდესთან, მაურილიო სერანასა და ხუან პაბლო ანხელთან ერთად ივარჯიშებს.

ინგლისელ ნახევარმცველ პოლ ინსს ფეხბურთის ასოციაციის საიდისციპლინო კომიტეტმა აპელაციაზე უარი უთხრა და ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია არ გაუშვა. ინსი სანდერლენდელი ნაილ ქუინს ეუხემა, მსაჯმაც წითელი ბარათი აუფრიალა, თუმცა თავად ქუინი ყვითლის მომხრე გახლდათ. პოლ ინსი პრემიერლიგის უახლოეს სამ ტურს გამოტოვებს.

ბერძნული „აიკის“ მცველი ერიკ რაბესანდრატანა ნახევარი წლითაა დისკვალიფიკირებული და ამ ხნის განმავლობაში მოთამაშე არავითარ ვასამრჯელოს არ მიიღებს. ყველაფერი ფეხბურთელის ლორწოვლოვან გამოიწვია, რის გამოც წონაში მოიმატა და ბერძნული კლუბის ხელმძღვანელობას დიტილს დაეცავებ ცივი უარი სტოკია.

ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „კრისტალ პალასის“ დამრიგებელი სტივ ბრიუსი ახვე ლიგაში მოასპარეზე კლუბ „ბირმინგემში“ გადადის. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მცველი „კრისტალ პალასის“ მთავარ მწვრთნელ ტრევორ ფრენსისის წასვლის შემდეგ თავაჯობდა. კლუბის პრეზიდენტმა საიმონ გორდონმა განაცხადა, რომ ცდილობდა ბრიუსს დივიზიონებისა და რჩენაზე რამდენიმე დღის წინ კი ბრიუსმა განაცხადა, ჯერ არ ვაპირებ „კრისტალ პალასიდან“ „ბირმინგემში“ გადასვლას, მაგრამ შემდეგ აზრი იცვალა. „მინდა მე მატჩამდე გავაყვითო, რათა მოთამაშეებს ყურადღება არ დაეთანხრო“ — განაცხადა სპეციალისტმა. ბრიუსის სავარაუდო მემკვიდრედ „ბლექჰულის“ დამრიგებელს სტივ მაკმაჰონს ასახელებენ.

მეორე რაუნდი 31 ოქტომბერი B ჯგუფი. VI ტური 500 ჯარიანი მხტარაზი (აზო) 0:1 მილიონარიუსი (კოლუმბია) გვადალახარა (მდინა) 0:2 დამირტივი იტალია (პანელა)

მეორე რაუნდი 31 ოქტომბერი 1/4 ფინალი. საბასუსო მატჩები ფლავინიო (ბრაზილია) 4:0 ინფანტინო (არგენტინა) (0:0) კრისტინიანი (ბრაზილია) 2:0 უნივერსიტატი კაიოლიანი (ჩილე) (1:2)

ამხანაგური მატჩი

მდინა 4:1 სალვადორი 10 გ. მარტინესი (5:3), 20 როდრიგესი (19), 30 ზაეი (3), 31 კაბრერა (66), 41 ც. კამპოსი (69)

სარბიელი კროკო

ნარობიდიბათი

ავროპის ქვეყნების ეროვნული ჩაბიონაბების კოეფიციენტი და სტატისტიკა

სამბათს და შაბათს ეოეფიციენტები, ოთხშაბათს და პარასკავს: ეოეფიციენტებს პლუს ექსი ქვეყნის სტატისტიკა, ხუთშაბათობით მოწინავე 23-ის სტატისტიკა ეოეფიციენტებითურთ.

შანიშვიტი ბადა-ცხრილისთვის

ბარის წყვილაბი მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამი განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს“ აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს	გუნდის გვარდით მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაჯავებული ადგილი, (2) - დებიუტანტს აღნიშნავს	ლიგონალს ზეპით და ქვეპით გუნდის განწვრივ მოცემულია მასპინძლის მოუდანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გამამართი შეხვედრის თარიღი	სამბაშ ცხრილში პირველ, ექვსევიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთევიანი - საშინაო, მეტამეტი კი საგარეო მონაგარი
--	---	---	---

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური	048 არსენალი-ნარდუკი 0:1	2.0 3.0 2.4	4 ნოემბერი	18.00 112 ატლანტიკ-რასია	4.0 2.9 1.9	ეხსანეთი. II დივიზიონი. XII ტური	
3 ნოემბერი	18.00 049 სელსი-იფენი	1.45 3.5 7.0	18.00 113 ბოლინია-ფორტუნა	1.75 2.9 4.7	3 ნოემბერი		
18.30 001 ბაიერნი-პამპურგი	050 სელსი-იფენი 0:1	2.0 3.2 2.3	18.00 114 ინტერი-დუი	1.35 3.8 7.0	21.00 163 ლეკსენი-იუნაი	2.2 2.6 3.5	
002 ბაიერნი-პამპურგი 0:1	ინგლისი. I დივიზიონი. XVIII ტური		115 ინტერი-დუი 0:1	2.0 3.0 2.4	21.00 164 ვულფ-რასია	2.0 2.6 3.5	
18.30 003 ვოლფსბურგი-ნორინბერგი	23.45 063 ქრო-ბრედლი	2.3 3.1 2.8	18.00 116 დიკო-ბრემა	1.55 3.3 6.0	21.30 165 კარდია-ატლანტიკი	2.9 2.7 2.5	
18.30 004 დინტშუნი-შტუტგარტი	3 ნოემბერი		18.00 117 პარმა-პერუჯა	1.6 3.1 6.0	22.00 166 ნუმანია-ხიმსიტი	1.55 3.2 6.5	
18.30 005 'სტ. პაულ-საიქსენი	19.00 064 სიტი-ვილინგემი	1.4 3.5 7.0	18.00 118 პარმა-პერუჯა	2.3 2.9 3.0	23.00 167 სპორტივ-ტრევიზო	1.8 2.7 5.0	
18.30 006 ლეკსენი-იუნაი	065 სიტი-ვილინგემი 0:1	2.0 3.2 2.3	18.00 119 ვერონა-იუვენტუსი	3.4 2.9 2.1	23.30 168 ალბასტრე-სილი ეხილი	1.5 3.2 7.5	
18.30 007 'შალკე-კოლნი	19.00 066 შილდელი-ჰოქენი	2.4 3.0 2.7	23.30 120 ტორინო-სილი	3.4 2.9 2.1	4 ნოემბერი		
18.30 008 'შალკე-კოლნი 0:1	19.00 067 ნორიში-ვულფსბურგი	2.3 3.1 2.8	იტალია. სერია „ა“. XI ტური		15.00 169 ფორალი-სერესი	2.0 2.7 4.0	
18.30 009 'ანსა-ფერდერი	19.00 068 პრესბინი-სტოკოლტი	1.45 3.6 6.5	2 ნოემბერი		15.00 170 ლეკსენი-იუნაი	2.0 2.6 3.5	
4 ნოემბერი		19.00 069 უენსი-პარტოპო	2.4 3.0 2.7	23.45 122 შილდელი-ჰოქენი	1.9 2.7 4.4	20.00 171 სალამპია-ბურგო	1.9 2.7 4.4
20.30 010 პერტა-მონხენგლადბახი	19.00 070 უოლფლი-კრისტალ პალასი	3.1 3.0 2.2	4 ნოემბერი		20.00 172 ბადი-იუნაი	3.3 2.6 2.3	
20.30 011 ფრაიბურგი-კარლსუი	19.00 071 უოლფლი-ბარნსლი	1.6 3.3 5.3	18.00 123 ბარი-ნაპლი	2.4 2.7 3.0	20.00 173 ვილი-მურსი	1.95 2.6 4.4	
გერმანია. II ბუნდესლიგა. XII ტური		19.00 072 უამბლი-იონისი	1.65 3.3 4.7	2 ნოემბერი		პორტუგალია. I ლიგა. XI ტური	
2 ნოემბერი		4 ნოემბერი		18.00 124 სიტი-ვილინგემი	2.1 2.7 3.6	01.00 174 ვარსი-პრაგა	2.4 3.1 2.6
22.00 012 შიანდერტი-ანსი-ბერი	18.15 073 ბარნლი-შეფილდი	1.75 3.0 4.4	18.00 125 კომ-იონისი	2.4 2.7 3.0	3 ნოემბერი		
22.00 013 დუისბურგი-ალდინი	18.15 074 ვესტ ბრომვი-ნიტინგემი	2.2 3.0 3.1	18.00 126 კროტინ-რეინა	2.7 2.7 2.6	21.00 175 სუტფილდ-იონისი	1.9 3.0 3.8	
22.00 014 'ხაინბურგი-მანსი	22.15 075 ბარნსლი-ბრისტოლი	1.45 3.6 6.5	18.00 127 მსინა-კოტინა	2.2 2.6 3.5	23.30 176 პენი-იონისი	1.4 3.8 7.0	
3 ნოემბერი		ინგლისი. II დივიზიონი. XVII ტური		18.00 128 სალფორთ-ბარნსლი	2.0 2.7 4.0	177 შიქსი-კარლსუი 0:1	2.0 3.0 2.4
17.00 015 პარტოპო-კარლსუი	19.00 077 პრესბინი-ბლუ-ბლუ	1.5 3.4 6.5	18.00 129 სიტი-ვილინგემი	2.3 2.7 3.2	4 ნოემბერი		
18.00 016 არსენალი-ნარდუკი	19.00 078 პრესბინი-ბლუ-ბლუ	2.1 3.1 3.2	18.00 130 ტრინი-პარტიკი	1.75 2.8 5.0	20.00 178 ბლენფორტი-იუნაი	1.7 3.2 4.4	
4 ნოემბერი		19.00 079 სესტრუ-იუნაი	1.95 3.1 3.5	23.45 131 ვენია-სამპლი	2.3 2.6 3.3	20.00 179 ბენა-მარ-იუნაი	1.75 3.0 4.4
18.00 017 რიდი-იუნაი	19.00 080 კოლტინ-ბარნსლი	1.75 3.1 4.2	იტალია. სერია „ა“. X ტური		20.00 180 მარტინ-იუნაი	1.5 3.2 6.5	
18.00 018 ფორტი-იუნაი	19.00 081 ნორიში-ბარნსლი	3.0 3.1 2.2	3 ნოემბერი		23.00 181 პორტუგალია	1.35 4.0 7.5	
სამწუხაროდ, ეს ექსპედიცია ტრაგიკულად დასრულდა. ექსპედიციის მეთაური კარპინსკი და ბერნადიკევიჩი გადმოხრეულმა ყინულოვანმა ფერდობმა ბანაკში ცოცხლად ჩაძარხა.

მათ უბედურება მწვერვალ ტრისულის რაიონში, მილაძის ყინვარზე დაბანაკებულთა დატყდა. ტრაგედიის მიუხედავად, ნანდადევის აღმოსავლეთ მწვერვალზე ასვლა პოლონური აღიზიანების პირველ თვალსაჩინო მიღწევად შეფასდა. პოლონელებმა ამ წარმატებას 1939 წლის 2 ივლისს მიადწიეს, ორი დღის მერე კი ფაშისტური გერმანია მათ სამშობლოს თავს დაესხა. ამის შემდეგ მთელი ათი წლის განმავლობაში გერმანიაში გამოძვარილი პიმალაური ლიტერატურა მდუმარედ გვერდს უვლიდა პოლონელთა წარმატებას.

1951 წელს ნანდადევის მაღლა ფრანგთა ექსპედიცია, რომელსაც როჟე დიუჟალა მეთაურობდა. ეს ამ ქვეყნის შესაძენი აზიური ექსპედიცია იყო. თანამემამულეთა მიერ პირველ რეატიასიან ანაპურნას დალაშქრებით ფრანგულ-ინდოეთის ნანდადევის ფერდობებსაც დიდი გეგმებით, იმედობითა და ენთუზიაზმით შეუდგნენ. რვა ფრანგს ზურგს უმაგრებდა შერატა ცხრაკაციანი გუნდი, რომლის სირდაიც შემდგომში დედაქალაქის უმაღლეს მწვერვალზე ახალხელანდიელ ედმუნდ ჰილარისთან ერთად პირველად აღმოსავლეთი თენსინგ ნორგეი იყო. მათთან იყო ინდოეთის არმიის წარმომადგენელიც, მთაშველი ჯაიალი, ვისთან ერთად თენსინგმა 1946 წელს ბანდარ პუნჩი დალაშქრა. წესისამებრ ექსპედიციას დაქირავებული ჰყავდა ადგილობრივი მზიდავთა გუნდიც, მაგრამ მათთან იმ პირველსავე ისტორია განმეორდა — ჯამაგირის თაობაზე უსამართლოდ მოხდა. ამის გამო ზოგმა მზიდავმა ექსპედიცია მიატოვა, მაგრამ მთაშველულებმა უკან არ დაიხიეს.

ფრანგები თავდაპირველად რვაათასიანი მწვერვალის დალაშქრებაზე ექიბოდნენ, მაგრამ ნებართვის მიღება ვერ მოახერხეს. ამიტომ შეიმუშავეს ნანდადევის დაპყრობის ისეთი გაბეჯული და ორიგინალური გეგმა, რომლის მსგავსიც მანამდე პიმალაის ისტორიაში არავის ჰქონია. ფრანგები ნანდადევის ორივე თავის დალაშქრას ისახავდნენ მიზნად, ოღონდ არა ცალ-ცალკე, არამედ ტრავერსით. ეს დასავლეთის ანუ მთავარ მწვერვალზე ასვლის მერე აღმოსავლეთის თავის დალაშქრასაც თვალისწინებდა, საამისოდ კი ამ ორი პიკის დამაკავშირებელი თხემის გავლა იყო საჭირო.

სწორედ ეს თხემი ჩანდა ყველაზე საშუალო მონაკვეთი. ეს ხერხივით დაკბილული თხემი სიგრძეში 3200 მეტრს აღემატებოდა, სიმაღლეში კი 6900 მეტრზე დაბლა არ ეშვებოდა.

უდავოდ ძნელი ამოცანის წინაშე ვიდრე მთაშველულების იმედიც აღარ მქონდა, — ისხენებდა შემდგომ თენსინგ ნორგეი — მაგრამ ფრანგები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი, ხოლო დიუჟალა, არაჩვეულებრივად ფიცხი და მოუთმენე-



ორთავა ნანდადევის დამაკავშირებელი ქედი

ლი ადამიანი, თვლიდა, რომ ასვლას ორ-სამ დღეში დაემათავრებდით. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე სწრაფად როდი მივიწვევდით წინ, მაგრამ სხვა ექსპედიციებთან შედარებით, მანაც ჩქარა მივლიდით და კარგი ამინდის წყალობით, მალე რამდენიმე ზედა ბანაკიც გავშალეთ“.

„შეტყვა და ტრავერსი მხოლოდ ორს უნდა განეხორციელებინა — თვითონ დიუჟალა და ანაპურნა, ხოლო მთაშველი უილბერ ვინს. ვინი, მართალია, მხოლოდ 21 წლის იყო, მაგრამ ალბებში უკვე მთელი რიგი თვალსაჩინო ასვლები მოეხდინა და, უნდა გითხრათ, უკეთეს კლდეზე მცოცავს არც შევხვედრივარ. მაგრამ ნანდადევი შეიშველი კლდეები ცოტაა. აქ ბევრი თოვლია და შორი მანძილები. უნებლიედ ფრანგების გეგმა უგუნურებად შექნებოდა“.

თენსინგის წინათგომობა თუ ეჭვები გამართლდა. 7200 მეტრიდან, სადაც მეთხუთხუთმეტი იყო, ვინმა და დიუჟალამ შერაპები უკან გამოაბრუნეს, თავად კი 29 ივნისს დილაადრიან შეტყვაზე გადავიდნენ. მათ შესახვედრად თენსინგი, ექსპედიციის ექიმი პაიანი და კიდევ ერთი მთაშველი მონაწილე მხარეს, აღმოსავლეთ ნანდადევის კალთაზე ლონგესტაფის უნდაირამდე ავიდნენ და იქ დაბანაკდნენ. 29 ივნისს მათ დაინახეს, თუ რამდენიმე კილომეტრის იქით მთავარი მწვერვალისკენ როგორ მიიწვედა თოვლზე ორი წერტილი. ისიც დაინახეს, როგორ მიადწია ამ ორმა წერტილმა მწვერვალს, მერე კი მხედველობიდან გაქრა. თუმცა, მომლოდინე სამეული იმ დღეს მოიერიშეებს არც ელოდა, რადგან ის დამე ვინსა და დიუჟალას თხემზე უნდა გაეთათათ.

თენსინგი: „დილით მათ შესახვედრად ზევით წავიდით. გავიდა დილა — არ ჩანდნენ, შუადღე

— არავინა. ღერბინდით კარგად მოვითვალიერეთ ჩვენს ზემოთ ყველა თხემი, მაგრამ ვერაფერი აღმოვაჩინეთ. ვევიროდით — ხმას არავინ გვცემდა. როცა ჩამოხვედნა, იძულებული გავხდით, ბანაკში დაგბრუნებულიყავით“.

უგზო-უკვლოდ დაკარგულნი ერთი კვირის განმავლობაში ეძებეს. თენსინგმა და დიუჟალამ კარგად იცოდნენ, რომ დაკარგულებს ვეღარ იპოვიდნენ, ყოველ შემთხვევაში ცოცხლებს, მაგრამ მანაც ზემოთ მიიწვედნენ. თხემი ციკაბო და ვიწრო იყო. მათი სიარული ალესილი დანის პირზე გავლას ჰგავდა. ფეხი ხშირად უსხლტებოდათ და ვერაფრით გაეგოთ, როგორ არ იჩენებოდნენ უფსკრულში. მათ მებნაში თენსინგმა და დიუჟალამ აღმოსავლეთ ნანდადევის უმაღლეს წერტილსაც მიადწიეს, რაც იქ პოლონელთა მერე მეორე ასვლა იყო.

თენსინგი და დიუჟო დიდხანს აკვირდებოდნენ ორი მწვერვალის შემართებულ სამკილომეტრიან თოვლ-ყინულოვან, ვიწრო და ხერხივით დაკბილულ თხემს, საიდანაც თავბრუდამხვევი უფსკრულები ეშვებოდა, ზემოთ კი თვალუწვდნელი ლილასავით ლურჯი ცა იყო.

თენსინგი: „უკანასკნელ ხანს ხშირად მეკითხებოდა, შენს ასვლებში რომელი იყო ყველაზე ძნელი და სახიფათო. ფიქრობენ, რომ ვიტყვი — ევერესტზე ასვლა-მეთქი, მაგრამ არა, ყველაზე მეტად გამიძინებდა აღმოსავლეთ ნანდადევის დაპყრობა“.

ამის მერე ინდოელებმა ორჯერ (1957 და 1961 წლებში) ამაოდ სცადეს თავიანთი ქვეყნის უმაღლეს წერტილზე ასვლა, მესამედ კი, 1964 წელს გაუმართლათ. ეს შესძლეს კუმარის ექსპედიციის შერამა ვევერებმა, დავა ნობუმი და ნავანგ

გომბუმ, ვინც იმ დროისთვის ევერესტის პირველი და ერთადერთი ორჯის დამლაშქრავი იყო.

ინდოელებმა და ფრანგმა მთაშველებმა, რომელთათვისაც კურთხეული ქალღმერთზე ლაშქრობები უკვე ტრადიციად იქცა, 1975 წელს ივ პოლე-ვიარის მეთაურობით გადაწყვიტეს ნანდადევის ტრავერსის გამოხრება, რაც მათი აზრით, 1951 წელს დიუჟალამ და ვინმა განახორციელეს. ამჯერად გადაწყვეტ იერიშზე ერთდროულად ორი წვეილი გადავიდა, რომლებიც მთავარ და აღმოსავლეთ მწვერვლების შემართებელ ქედზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მიზნის მიღწევაში მათ ავღარმა შეუშალა ხელი.

ბოლოს და ბოლოს, 1976 წელს ტრავერსი განხორციელდა. ეს შესძლო იაპონელ ტერაიაკი კანოს ექსპედიციამ, რომელიც მწვერვალს ტოკიოს უნივერსიტეტის 14 და ინდოეთის 6 მთაშველებთან ერთად მიაღწია. ამ ექსპედიციის ორი წევრი კ. ხაშეგავა და ტ. ტაკაში ჯერ აღმოსავლეთ მწვერვალზე ავიდნენ, იქიდან ის საშინელი, სამართებელივით ალესილი და დაჩენილი სამკილომეტრიანი ქედიც ორ დღეში მშვიდობით გაიარეს, ბოლოს კი მთავარ პიკსაც მიადწიეს. იქ მათ დახვდით თავიანთი ექსპედიციის მერე ვაკუფი, რომელიც მწვერვალს დასავლეთიდან უტევდა.

ასე რომ, 1976 წლის 15 ივნისს პიმალაის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა გადაიჭრა, გადაუჭრელი კი დარჩა კითხვა — 25 წლის წინათ მართლა პირველი იყო თუ არა დიუჟალა-ვინის წვეილი?

1976 წელი ნანდადევის ისტორიაში მხოლოდ ტრავერსით როდი იყო უმნიშვნელოვანესი. იმავე წელს ამერიკელმა ადამს კარტერმა თანამემამულე და ინდოელი მთაშველები შეკრიბა და ნანდადევის მაღლა, ამ ექსპედიციამ მიზანში აძლიერ მანამდე უგალი ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელი. ექსპედიციის ყველაზე ცნობილი წევრი გახლდათ ვილი ანსოლდი, ვინც 1963 წელს თანამემამულე თომას პორნბაინთან ერთად პირველმა განახორციელა დედაქალაქის უმაღლესი მწვერვალის ტრავერსი, რაც 1984 წლამდე ვეღარავინ შესძლო.

ახლა დროა დავებუნდეთ ვილი ანსოლდს, ვინც ნანდადევის ფერდობზე, 7 300 მეტრის სიმაღლეზე საკუთარი ქალიშვილის ცხედართან თავზარდაცემული დავტოვეთ. არადა, როგორც ჩვენ თხრობის დასაწყისში აღვნიშნეთ, ამ ტრაველიას არაფერი მოასწავებდა. პირიქით, პირველმა მოიერიშე სამკაცინამ ვეღუფმა მიზნსაც მიადწია, რაც უკვე დიდი გამარჯვება იყო. ისე ჩანდა, რომ ნანდადევის ამსვლელთა რეკორდული რაოდენობა მოაღწევდა, თანაც მანამდე უგალი, ყველაზე რთული გზით, მაგრამ სწორედ იმ დროს დატრიალდა უბედურება. როცა მოულოდნელი ტრაგედიით გაოგნებულ მამას და მის ორ მეგობარს აზროვნების უნარი დაუბრუნდა, დაიქრდნენ, თუ რა უნდა ელონათ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ნანდა დევის ცხედარი მიეპარებინათ იმ მწვერვალისთვის, რომლის სახელიც მამამ ქალიშვილს დასაწოლა. სამმა ჭირისუფალმა ცხედარი საძილე ტომარაში ჩააწვინა და ყინულის საფლავიც გაუთხარა.

და გადაიტყა ნანდა დევი ნანდადევის ნაწილად, რომელიც ბედნიერების წყაროა.

ამთხანდელ გზასაგზილი

NHL რეგულარული ჩემპიონატი


რუსს რეკორდი მაინს არ ასცდება

31 ოქტომბერი
ჩემპიონატი 13 ფორმირება (01:10 02)
01:10 ბურე 18 (4), 11 ა. ოუბანსონი 30 (3),
12 პუსელიუსი 54 (8), 13 პუსელიუსი
57 (9)
კულურალო 01:10 02 (01:10 02)
01:10 მაკინისი 2 (2)
დალასი 3:4 დეტროიტი (3:3 01:10 02)
10 ლეპინენი 5 (4), 11 ფიოდოროვი 6
(7), 21 ოდელი 11 (2), 22 პალი 13 (5), 23
შენაბანი 14 (10), 33 პოტი 17 (2), 34
პალი 61 (6)
ფინლანდი 3:0 ატლანტიკი (10 20 01)
10 ლეპინენი 1 (7), 20 რევი 26 (5), 30
მაკელინი 40 (1)
მინესოტა 4:6 ნეშვილი (12 22 12)
01:10 კლასენი 7 (1) 02 ერადი 9 (2), 12 ში-
მიჩიკი 20 (1), 22 უოლდი 26 (1), 23 რო-
ნიანი 28 (2), 24 ტომონენი 3 (3), 34
დაუდი 32 (4), 35 ტომონენი 46 (4), 45
გაბორიკი 57 (5), 46 უოკერი 57 (3)
ანაჰაიმი 2:4 სან ხოსე (12 11 01)
10 კადენი 7 (3), 11 ნოლანი 17 (3), 12 შტურმი
18 (3), 22 კარია 28 (2), 23 რაგნარსონი
30 (2), 24 შტურმი 51 (4)

ვინმეს რომ ეკითხა, ვინ არის ფლო-
რიდის საუკეთესო სნაიპერი ამ სეზონ-
ში, ოქმებს თუ არ გადახედავდა, 99
პროცენტით პაველ ბურეს დასახელებ-
და, ერთი პროცენტი კი — მის უმ-
ცროს ძმას, ვალერიუს სინამდვილეში
სულ სხვაგვარადაა საქმე. „პანტერე-
ბისა“ და ლევის გამოჩენილ მგოლეს,
პაველს, ჯერჯერობით უჭირს, ვალე-
რი კი, რომლისგანაც ბევრს ელიან,
მძიმე ტრავმის გამო ვერ თამაშობს.
ამიტომაცაა, რომ ფლორიდა სტარტ-
ზევე სატურნირო ცხრილის ბოლოს
აღმოჩნდა, თუმცა ბოლო მატჩებში სა-
სიკეთო ძვრები შეიმჩნევა და მათი მთა-
ვარი შემოქმედით — დებოტანტი კრის-
ტიან პუსელიუსი შეიქნა.

მარიალია, 22 წლის შედგენა რო-
მელმაც უკვე მოათავა სახელი ვერო-
ნაში, კლუბი საკმაოდ იმედებს ამყარე-
ბდა, მაგრამ ესოდენ წარმატებას აშკა-
რად არავინ ელოდა არადა, ბოლო ხანს
კრისტიანი ისე ხშირად იტანს, რომ
სახელოვან მგოლებსაც კი შეშურდათ.
რეინჯერსთან მორიგ მატჩში საქმეს
ისეთი პირი უჩანდა, გუნდები ოვერ-
ტაიში გადაწყვეტდნენ მატჩის ბედს.
54-ე წუთისთვის ანგარიში 1:1 იყო და
თამაშაც თანაბარი, დუნე იყო, თითქოს
ადარაფერს ელოდა მაყურებელი და...
უკვე პუსელიუსის გოლი. ძლიერ ბე-
ლიც სწავლობთ, ნათქვამია და კრისტი-
ანსაც იღბალმა მოუშარა ხელი. მისი
დარტყმა აუღებელი არ ჩანდა, მა-
გრამ გზად შაბა მცველ ბრაიან ლინს
შეხვო და მაიკ რიხტერი უძღური აღ-
მოჩნდა. სამაგიეროდ, შედის მეორე
გოლი საკვებით მისი ძალისხმევით შე-
დგე იყო. იგორ ულანოვის პასის
ჩაჭრის შემდეგ მეკარესთან პირისპირ
გასრიალდა, აუღლებულად, ცრუ მოძ-
რობებით რიხტერი ვინაღუღ დააწვი-
ნა და შაბა თავზე გადაუგდო.

„მნიშვნელობა არა აქვს, ვინ გაი-
ტანს, მთავარია, მოვიგებ“ — თავმდა-
ბლად განაცხადა მატჩის შემდეგ ასა-
ლგაზრდა გმირმა. ფაქტი კი ფაქტად



სენტლუსისგან მეკარე ბრენტ ჯონსონმა კარიერაში მეხუთე შათაუტი მითითვალა

რჩება, ზედხედ სუთი ქულიანი მატჩის
შემდეგ (იქიდან ბოლო ორში დუბლი
მითითვალა) შედის აქტივში 9 გოლია.
ასე დამაჯერებლად ტემპე სელიანეს
შემდეგ (1992-93 წლების სეზონი) ლი-
გაში დებოტი არავის გაუპარიათ. აღ-
სანიშნავია, რომ თავისი გოლი პაველ
ბურემაც გაიტანა, თუმც მისი სეზონ-
ში 4 შაბა პუსელიუსის შემდეგთან
რა მოსატანია.

ასალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშის გა-
მორჩევა რომ არა, მიმოხილვის დასაწ-
ვისში უთუოდ დასაკლური გრანდების
ჭიდილს გავიტანდით. ერთმანეთს ხომ
ორ წყვილად დაყოფილი ოთხივე მო-
ნსტრი დაეჯახა და ორივე მატჩში ცუ-
ნტრალური დივიზიონის გუნდებმა იმა-
რჯვეს.


სენტ ლუსისა და კოლორადოს თა-
მაში, მიუხედავად მინიმალური ანგა-
რიშისა, ძალიან საინტერესო გამოდგა.
უკვე მე-2 წუთზე სტუმართა მცველ
ელ მაკინისის ძლიერი დარტყმის შე-
დეგ ერთ-ერთ კოლორადოელს ყვა-
ნჯი გაუტყდა, ხოლო მეკარე პატრიკ
რუა უძღური აღმოჩნდა. ამის შემდეგ
ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის შე-
ცვლის შანსი. მათგან საუკეთესო მომე-
ნტი კრის დრურის შეიქმნა მეორე პერი-
ოდის მიწურულს, მაგრამ კოლორადო-
ელმა ახლო მანძილიდან ააცილა, საბო-
ლოოდ კი სენტ ლუსის მეკარე ბრენტ
ჯონსონმა (26 მოგერიება) კარიერაში
მე-5 შათაუტი მითითვალა, ხოლო რუამ
გაუტყდა ხელიდან. თუმცა მას რეკორ-
დი მაინც არ ასცდება. მორიგეობის
რეგებში 289 მოგებასთან ერთად მას
კოლორადოსთან 199-ჯერ უხეიმა წა-
რმატება და სულ მალე უეჭველად პი-
რველი მეკარე გახდება, ვისაც ორ გუ-
ნდში 200 გამარჯვებაზე მეტი მოუპო-
ვებია. კოლორადოდ კი სეზონში მე-3
მშრალი წაგება იქნება.

ედ ბელფორს თითქოს თავიდან ბო-
ლომდე აქვს შესწავლილი ყოფილი თა-
ნაგუნდების, ბრეტ ჰალის საფორთხე
დარტყმები, მაგრამ რად გინდა. სწო-
რედ „ოქროს ბრეტის“ მორიგმა გას-
როლამ მოუტანა დეტროიტს ოვერტა-
იმში მოგება. მანამდე კი, ამ მატჩითა
ერთი კვირის ფინანსული შეხვედრის
მთავრად, იყო დიდი ბრძოლა: ერთი
უხვევლიანი, ხოლო ორი უგოლო, მა-
გრამ არანაკლებ შინაარსიანი პერიო-
დი. კმაყოფილი დარჩა დეტროიტის მწ-
ვირთველი სკოტი ბოუმენტი, თუმცა რა-
ტომაც არა — მისმა გუნდმა ხომ
ჩემპიონატში ლიდერობა განიმტკიცა.


ზედხედ მეორე მშრალი მატჩი ჩა-
ატარა ფილადელფიის მეკარე ბრაიან
ბუშემ. თუმცა ადვილად მას ნაკლებად
გაუჭირდა, რადგან წინა მატჩის, ვა-
ნინგტონისგან განსხვავებით, პიტსბუ-
რეს ყველა ლიდერი აკლდა. ამიტომ
იმ 27 დარტყმად, რომლებიც ბუშემ
მოიგერია, მხოლოდ რამდენიმე თუ შე-
უქმნა რეალური საფრთხე „მფრინა-
ვებს“. თავად ფილადელფიელებმა კი
ისევ 3 გოლი იკმარეს. საუკეთესო
კვლავ ლიდერები — ჯერემი რენიკი
(2 პასი) და მარკ რეკი (H+I) იყვნენ.

როგორც იქნა, ანაჰაიმის სუპერგა-
რსკვლავმა პოლ კარიამ შეწყვიტა თა-
ვის კარიერაში ყველაზე გრძელი, 10-
მატჩიანი უგოლო სერია. მაგრამ, მის-
და საუბედუროდ, „იხვებმა“ წააგეს,
თანაც მარკუს რაგნარსონის უდამწყ-
ვეტი გოლი კარიას მრავალწლიანი პა-
რტნიორის, ტემპე სელიანეს პასის შე-
დეგ გავიდა.

სამხრეთ ლარიანი
პომპბარდირები: იგნოლა (კალ-
გარი) 19 (8+11), შენაბანი 17 (10+7),
ფიოდოროვი (ორივე — დეტროიტი)
16 (7+9), რ. სმიტი (ედმონტონი) 16
(5+11), რენიკი (ფილადელფია) 16
(2+14), პერიში (აილენდერსი) 15
(11+4), ონილი (კაროლინა) 15 (8+7),
მორისონი (ვანკუვერი) 15 (5+10),
ფრენსისი (კაროლინა) 15 (3+12), კა-
რტერი (ედმონტონი) 14 (9+5), დაზე
(ჩიკაგო) 14 (8+6), საკიკი (კოლორა-
დო) 14 (7+7), ალფრედსონი (ოტავა)
14 (6+8), ელიაში (ნიუ ჯერსი) 14 (5+9).



ეიულიენ ბურე



ანგე ჰუბერი ყვავილებით გააცილეს

დევიანსორტს დოკირი დაეხედა ფრანგული სული პარიზში

მუნსენი (გერმანია)
WTA-ს ჩემპიონატი
საპრიზო 3 მილიონი \$

მერვედფინალი. მინსკისტი (3, ბე-
ლგია) — ელენა დემენტევა (რუსეთი)
6:3, 7:6 (7:2); მინსკისტი (6, თუ-
გისლავია) — მერა ზონესი (აშშ) 7:6
(7:4), 7:2; ლინსკისტი (2, აშშ) —
ამანდა კუტცერი (საბურთი აფ-
რიკა) 6:3, 6:2; მინსკისტი (6, ბელგია)
— ანგე ჰუბერი (გერმანია) 6:4, 6:2

ეს უკვე მეორე ჩოგბურთელმა მოა-
წყო ქალთა ჩოგბურთის ასოციაციის
(WTA) ჩემპიონატი გამოსახივარ ტუ-
რნირად. ფრანგ ნატალი ტოზიას გერ-
მანელმა ანგე ჰუბერმა მიბაძა და პირ-
ველსავე წრეში (ხოლო მუნსენის პი-
რველი წრე იგივე მერვედფინალი გა-
ხლავთ) პირწმინდად წაგების შემდეგ
განაცხადა, რომ პროფესიულ ჩოგბუ-
რთში ბოლო მატჩი ითამაშა.

30-ს კარგახანია გადაცილებული
ტოზიასგან გასაგებია, მაგრამ ჰუბერი
26 წლის გახლავთ და ჯენიფერ კაპ-
რიატი ამ ასაკში მხოლოდ იწყებს.
თუმცა ნათქვამია, რომ სტაჟით ჰუ-
ბერი ბარე ორს აჯობებს. პროფესიულ
ჩოგბურთში გერმანელი მთლად ბავშვი,
14 წლისა გამოჩნდა და მთავარ წარ-
მატებას სწორედ WTA-ს ჩემპიონა-
ტში მიღწეა 1995 წელს, როცა ფინა-
ლში შტეფი გრაფს მოუგო. ამის მი-
უხედავად, ჰუბერმა გრაფი სრულფა-
სოვნად ვერ შეცვალა, „დიდი სლე-
მის“ და სხვა ტურნირებზე გამოსარ-
ჩევი მიღწევები ცოტა ჰქონდა, მხოლო-
დ ერთხელ ავსტრალიის ლია პირვე-
ლობის ფინალში ითამაშა.

გუმწინწი ფუსტინ ენენის პირისპირ
ჰუბერი სრულიად უღონო ჩანდა. ჩია
ბელგიელმა მას 55 წუთში მოუთავა
საქმე — 6:1, 6:2.

დანარჩენ მატჩებში ცოტა მეტი ბრ-
ძოლა იყო. ძალიან ჩოგბურთის სა-
უკეთესო მხარეები წარმოაჩინა ლი-
ნდსი დემენტევა და საკმაოდ ადვი-
ლად მოერია ასევე ტანსაცემ ანანდა
კუტცერს — 6:3, 6:3. იქმნება საინტე-
რესო სიტუაცია — სეზონის ბოლო
ტურნირის შემდეგობით დემენტევა
ხელეწიფება, ქალთა რეიტინგ-ლისტში
მეორედან პირველ ადგილზე ანანდა
დემენტევა კარიატის გაუსწროს, მა-
გრამ ეს ამბავი ამ უკანასკნელზეცაა
დამოკიდებული. დემენტევა ჩემპიონ-
ობაც არ უშველის, თუ კარიატა უბ-
ნოლოდ ფინალში გააღწევს. მათ შო-
რის სხვაობა ახლა 61 ქულაა შეადგენს.

მაგრამ ადრეც გითხარით, დემენტე-
ვა რეიტინგულ მონაცემებს სრული-
ად უშფოთველად უყურებს. „ბედნიე-
რი ვარ, რომ მსოფლიოს ნომერ მეორე
ჩოგბურთელად ვითვლები და იმედა,

სეზონს მინიმუმ ამ პოზიციაზე ჩავა-
მთავრებ — იმეორებს ლინდსი — ყო-
ველთვის ვთვლიდა, რომ საუკეთესო
ჩოგბურთელი უპირველესად „დიდი სლე-
მზე“ უნდა გამოიჩინეს და მე კი წლე-
ულს ფინალშიც არც ერთხელ არ გა-
ვსულვარ“.

დემენტევა მეთხედფინალში შე-
ხვდება... მოკლედ, დიდმა ლინდსიმ ბო-
ლო ტურნირებზე ელენა დოკირი ვერ
მოიშორა. WTA-ტურის ორი შეჯიბრ-
ების ფინალში აფრიკელმა ავსტრა-
ლიაში ემიგრირებულ და რეემიგრირე-
ბულ იუგოსლაველს უსიტყვოდ მოუ-
გო და ავერ მესამე შეხვედრაც, რომე-
ლიც ბევრად მეტ ფულს პირდება მე-
ტოქეებს. დოკირი უფრო მონდომებუ-
ლად მოიქცეს ჩოგანს.

დოკირმა სული და გული ჩაღო პი-
რველი წრის თამაშში, სადაც აფრიკე-
ლი მეგან შონესი ორ სეტში დაამარცხა.
პირველი პარტია თანაბრად წარიმა-
როა, მხოლოდ მეტოქის სეტ-პოინტზე
(ტაი-ბრეიკში) აუცანცხადა შონესს ხე-
ლი და ბურთი ბაღეს მოარტყა, მერე
კი დოკირმა მატჩის სადავეები სრუ-
ლებით იგლო ხელთ და 72-ე წუთზე
ორხელა ბექენდით უმძლავრესად რომ
დაარტყა, ყველაფერი იქ დასრულდა —
7:6 (7:4), 6:2.

პარიზი (საფრანგეთი)
„მასტერსის სერია“
საპრიზო 2,95 მილიონი \$

მეორე წრე. მარბტ საზინი (5, რუსე-
თი) — კაროლ კუჩერი (სლოვაკეთი)
7:6 (7:2), 6:7, 6:4; სანდრა შალკოვი (პო-
ლანდია) — ენი როდიკი (3, აშშ) 4:6,
6:3, 7:5; სანდრა შალკოვი (8, საფ-
რანგეთი) — დომინიკ პრებატი (სლო-
ვაკეთი) 6:4, 6:4; მინსკისტი (6, ბელგია) —
მარკ ვილიამსი (ავსტრალია) 7:6 (7:2), 6:4; ტოზიას
(10, ბელგია) — ტომას ნი-
ფისტი (შვედეთი) 6:3, 7:6 (9:7); პლამბრტ
(11, ბელგია) — გილერმო კანსაი
(4, არგენტინა) 7:6 (7:4), 6:4; მინსკისტი
(6, ბელგია) — ფაბრის სანტორი (16, სა-
ფრანგეთი) 6:4, 6:4; მინსკისტი (6, ბელგია) —
ტიმ ჰენმანი (8, დიდი
ბრიტანეთი) 6:4, 6:3; მინსკისტი (6, ბელგია) —
არნო კლემანი (11, საფრ-
ანგეთი) 6:4, 3:6, 7:6 (7:5); ტოზიას
(10, ბელგია) — იგნა ლუბიანი (სორ-
ვატია) 6:3, 6:4; მინსკისტი (6, ბელგია) —
როჯერ ფედერერი (10, შვეიცარია)
6:4, 6:7 (4:7), 7:6 (7:2)

ასაღებდა ეიულიენ ბუტემ თავის
უკვე საინო კოლექციას მორიგე გა-
მარჯვება შემატა: პარიზის „მასტერ-
სის“ ტიმ ჰენმანს მოუგო. ერთი კვი-
რის წინ, მოგესწინებათ, ბუტემ გუს-
ტავო კუერტენი დაამარცხა.
მომხდარმა გვარჩინადა შევლამაზა
ელტიარული ფრანგული ჩოგბურთის
ფიასკო შინაურ სარბიელზე სედრიკ

პილინი, არნო კლემანი, ფაბრის სან-
ტორი და მიშელ ლორა ერთიმეო-
რის მიყოლებით მოშორდნენ ტურნირს
და ბუტეს გარდა, ფრანგთაგან იბრძვის
მხოლოდ სებასტიენ გროჟანი, რომე-
ლსაც წარმატება სხვა თვისტომებზე
მეტად სჭირდება — იგი ავსტრალია-
ში „მასტერს კაპზე“ მოხვედრის კან-
დიდატია. გროჟანს გაუმართლა იმდე-
ნად, რომ ბუტემ სწორედ ჰენმანი გა-
ავლო ტურნირიდან, რადგან ჰენმანი ამ
საქმეში მისი კონკურენტი გახლავთ.
პარიზის ტურნირიდან გავარდნით ჰე-
ნმანის შანსები მიხერული გახდა და
სხვების თამაშზე დამოკიდებული, მა-
გრამ სხვები რომ არ ავებენ? „მასტერს
კაპის“ კანდიდატებიდან პარიზში პირ-
ველი მატჩები მოიგეს მარატ საფინმა,
ტიმი პასსა და გროჟანზე ვითხარით,
ამიტომ ჰენმანი ყურნალობდა სკე-
პტიკურად საუბრობდა: „მგონი, ყვე-
ლაფერი დამთავრდა. ავსტრალიაში ვერ
წავალ, რაც საწყენია. ბოლო ხანებში
კარგ ჩოგბურთს ვთამაშობდი და დღეს
რადგან დამთავრდა ის (ბუტე) ისე ავე-
სიული იყო... მოწოდებებს უმძლავრე-
სად ურტყამდა და ვეღარ ვაგუქვდი“.
თითონ ბუტემ კი თავმდაბლურად
განაცხადა, დევისის თასის ფინალში
გასულ საფრანგეთის ნაკრებში მისი
ადგილი ჯერ არ არის.

„დღევანდელი ნაკრები წლების მან-
ძილზე თამაშობს და ძლიერ კარგად
— აღინაშნა ბუტემ — ვი ფორე (კა-
პიტანი) მუდამ სწორ არჩევანს აკეთე-
ბდა და მას ახლაც სასვებით ვეთანხ-
მები“.

ბუტეს საერთოდ არ წაიყვანენ მე-
ლბურნში, თუმცა ამბობდნენ, რომ იგი
ძირითადად სპარინგ-პარტნიორად მი-
შელ ლორას ნაცვლად უნდა ჩაესვით.
ბოლო ცნობით, ლორა დატოვეს და
ბუტე ამ ამბავსაც მიესალმა.

„ეს ნორმალურია — განაცხადა ფრა-
ნგმა — ფინალი ბალახზე გათამაშე-
ბა და ლორა ბალახზე ჩემზე კარგად
ირჯება. მაგრამ იცოდეთ: საფრანგეთი-
სთვის თამაში ჩემი ოცნებაა და თუ
ფორეებს დაეჭირდი, მე შხად ვარ!“

ბუტეს და ჰენმანის შეხვედრა შუა-
წელიდან ფრანგის აშკარა უპირატე-
ლობით წარმართა, მაგრამ თავიდან ჰე-
ნმანი მძლავრად მოქმედებდა და 4:1 და-
წინაურდა. მერე ხელ-ფეხი წაერთვა
და 6 გეიმში ზედხედ წააგო. სადათას
ძილიდან გამოსვლა ჰენმანმა წუთით
მე-2 სეტშიც სცადა, მაგრამ სულ ეს
იყო. ბუტემ ბოლოში პირველივე მატჩ-
პოინტი გამოიყენა და მერე უთხრა
მასმედიას ყველაფერი, რაც ზემოთ მო-
გახსენეთ.

ტორონტო უაითსი პერ მოიფიქრა: გაიანის მსაჯები მიუღბნენო

31 ოქტომბერი

გაიანი 97:92 ტორონტო

მაიამი: ე. კარტერი (11 ქულა, 7 პასი), ჯონსი (20), გილი (5), გრანტი (20), მურინი (25 ქულა, 10 მოხსნა, 4 დეფენზა), ელისი (8), მარტი (5 ქულა, 8 მოხსნა, 4 დეფენზა), სტრიკლენდი (3), მეი, პაუსი


ვლადიმერ სტეფანია სათადარიგო იყო. ტორონტო: ე. ვილიამსი (18), კარტერი (20), პეტერსონი (19), დევისი (10 ქულა, 15 მოხსნა), ოლაჯუონი (8), კლერვი (8), ჩაილდსი (7), ჯ. ვილიამსი (2), მონტროსი, ბრედლი, მიურეი

„მაიამი პითისთვის“ 2001-02 წლების სეზონი სხვა გუნდებზე ერთი დღით გვიან, გამარჯვებით და უსტეფანოდ დაიწყო. „პითის“ ქართულ ცენტრს ისეთი არაფერი შემთხვევით, იგი თავის გუნდთან ერთად გახლდათ, ეგაა, პატ რაილიმ მისი მოედანზე შემეხება საჭიროდ არ ჩათვალა და ვიკამაც მთელი შეხვედრა სათადარიგოთა სკამზე გაატარა. მოედანზე არ გასულა ტანგ ჰამილტონიც, ხოლო დანარჩენი ათი კაციდან ყველამ მინიმუმ ათი წუთი ითამაშა. „მაიამის“ პირველ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა სტეფანიას კონკურენტმა შონ მარქსმა, რომელიც ხშირად ცვლიდა მაღალ თანაგუნდლებს — მურინს და გრანტს და მეტოქეებსაც რიგიანად შეურევინა.

გამარჯვებაში ლომის წილი ალონზო მურინისაა, რომელიც ავადმყოფობის შემდეგ კვლავ ჩვეულ ფორმაშია და ძველებურად აწივებს მაღალ მეტოქეებს. მისი შემხედვარე მწვერთელი რაილიც ოპტიმისტურად განეწყო და თქვა: „შესანიშნავი დასაწყისია. ალონზო ბრწყინვალე იყო. თუ მას ჯანმრთელს შევინარჩუნებთ, ელიტაში დავრჩებით“.

კინ არ მიუჩინა მეთვალყურედ მურინს სტუმართა მსცოვანმა თავაკცმა ლენი ვილკინსმა, მაგრამ ამოდ. „ტორონტოს“ ცენტრის, პაკიმ ოლაჯუონის ასაკის გათვალისწინებით, მურინისგან მურევობა თავდამსხმელ ანტონიო დევისს დაეგალა სათადარიგო კერ კლერკთან მონაცვლეობით. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ მაიამელმა თავისი საქმე მაინც გააკეთა და თან ორივეს ვადაზე ადრე დაამთავრებინა თამაში. დევისმა შეეძგვა პერსონალური მსაჯთან კამათისთვის მიიღო, როცა სცადა, არბიტრი ბობ დოლანი დაერწმუნებინა, მურინისგან არ გაეგარებინა და რატომ მაჯარიმებო (მეხუთე პერსონალური). და საერთოდ, სტუმრებმა წაგება მსაჯებს დააბრალეს. „ცუდია, როცა მსაჯი ცდება, განსაკუთრებით, თუ ამას შეგნებულად სხადის და იმ გუნდს უწყობს ხელს, რომლისადმიც კეთილგანწყობილია“ — ნამატჩევეს უკმაყოფილება არ დაუმალავს დევისს. შეგირდს დამრიგებელიც აყვავა და თქვა, არბიტრები მურინისგან ყველაფერს პატიობდნენ, ისიც, რასაც მოისურვებდა, ყველაფერს აკეთებდა.

ტორონტოელთა ვნებათაღვლევა გასაგებია. ამოსავლეუთის ერთ-ერთ ფაქტორად შერაცხულმა „რეპტორზმა“ ორ დღეში ორჯერ წააგო და ბუნებრივია, მიზეზთა ძიებაც ამან გამოიწვია. სხვათა შორის, მსაჯები არც მაიამელს სწყალობდნენ მაინცდამაინც და სტუმრებს საჯარიმოს ხაზიდან 40 ქულის მოპოვების საშუალება მიეცათ. მათ კი ოთხი ათეული შესაძლებლობიდან 16 ქარს გაატანეს.



ბოსტონი — ნიუ ჯერსი. ჯეისონ კიდმა ფარული პასით ბოსტონელი მარცხ ბლაუნტი უქმად დატოვა

მოლიანობაში თამაში დაბაბული გამოდგა. სტეფანიას თანაგუნდლებმა ივაკაცეს და სათარეშო სივრცეები შეუზღუდეს სტუმართა მურინაც ლიდერ ვინს კარტერს, ამანაც 18 სროლიდან 12 ააცილა და ძალიან ბევრი ქულაც ვერ გააკეთა. კარტერმა ნამატჩევეს აცილებულ სროლებზე პასუხისმგებლობა თანაგუნდლებსაც გაუნაწილა, ცუდად რომ ვისროდი, მთელი გუნდის უხეირო თამაშის ბრალიო. სამაგიეროდ, ივარგეს სხვა ტორონტოელებმა — ელვინ ვილიამსმა და მორის პეტერსონმა და თამაშიც ისეთი გამოდგა, ქომაც გული რომ მიუვა. ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა თუნდაც ათი ქულით დაწინაურება. ბოლოს მაინც „პითმა“ იხადლა. გადამწყვეტი აღმოჩნდა ედი ჯონსის სამქულიანი, რომლის წყალობითაც „მაიამი“ საფინალო სერიაში 23 წამით ადრე 94:90 დაწინაურდა და თამაშიც აქ დაითავრდა.

ბოსტონი 92:95 ნიუ ჯერსი

ბოსტონი: ბირსი (36 ქულა, 10 მოხსნა), უოლკერი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ნიუ ჯერსი: კიდი (21 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა)

შარლოტი 100:94 კლივლენდი

შარლოტი: დევისი (33), მაშური (22), ვესლი (18)

კლივლენდი: მილერი (22), მიმი (13 ქულა, 10 მოხსნა)

პორტლენდი 92:87 გოლდენ სტეტი

პორტლენდი: ვესლი (33), პიპენი (26)

გოლდენ სტეტი: ჯემისონი (23), დამბიე (18), ფორტსონი (15 ქულა, 12 მოხსნა)

ჩიკაგო 73:98 ინდიანა

ჩიკაგო: მილერი (24), მერსერი (22)

ინდიანა: ონილი (25 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (19), ტინალი (12 ქულა, 13 პასი, 5 ჩაქრა)

ველარ იცნობთ ვლადიმერ სტეფანიას ყოფილ გუნდ „ნიუ ჯერსი ნეთსს“. უეჭველია, ახალ გამომამაშებელ ჯეისონ კიდს მეტი სარგებელი მოაქვს „ბალეთათვის“, ვიდრე მასში გაცვლილ სტივენ მარბერის. კიდის მეთაურობით „ნეთსმა“ პირველი ორი მატჩიდან ორივე მოიგო. გუნდის თავკაცი ბაირონ სკოტიც, ალბათ, აღარ დაიწვილებს, ცუდი შემსრულებლები მეგავს და ამით ხელში შედეგის მიღწევა შეუძლებელია. ახლა სკოტს სწორედ შედეგი უნდა აკმაყოფილებდეს, რამეთუ მისმა გუნდმა მოიგო, თუმც შეიძლებოდა წაეგო კიდევ.

„ინდიანასთან“ შეხვედრის მსგავსად, კიდი თავდაპირველად აქაც თანაგუნდელთა პასებით მომარაგებაზე უფრო ზრუნავდა და გვერდში მდგომიც არ აწილებდნენ: კიტლზმა და მარტინმა 13-13 ქულა მოიხვეჭეს, მაკალიოფმა — 12, ახალბედა ჯეფერსონმა კი 11. ბოსტონელმა „კვლტებმა“ თავდაპირველად აქცენტი ორი-სამი სტუმრის შებოჭვაზე გააკეთეს, მაგრამ მოედანზე მყოფთაგან ყველამ მათი კალათის ბომბვას მიჰყო ხელი და მასპინძლებიც იძულებულნი გახდნენ, ყველასთვის ედევნებინათ თვალყური. შედარებით გათავისუფლებულმა კიდმა ამით ისარგებლა და თავად იწყო ქულების დაგროვება, მისმა გუნდმა კი პირველი მეოთხედი 31:17 მოიგო, ნახევარი — 55:39. ამით სტუმრებმა საქმე გაკეთებულად ჩაივალეს და ლამის დაისაჯნენ.


შესაძებ მეოთხედში გამოცოცხლდა მანამდე უქმად მყოფი მასპინძელი ანტუან უოლკერი და პოლ პირსთან შეამხანაგებულნი სხვაობის შემცირებას შეუდგა, მას ნიუჯერსელთა დაბნეულობაც წაეხმარა და მატჩის დამთავრებამდე 15 წამით ადრე „ნეთსი“ ქულითა იგებდა — 93:92. აქ თავისიანები ბოსტონის გამომამაშებელმა კენი ანდერსონმა დაღუპა, როცა ორი საჯარიმო ააცილა, სამაგიეროდ, ივარგა სტუმარმა მაკალიოფმა და მატჩს წერტილიც დაუსვა. ბოლო მეოთხედში 19 ქულის ჩამდგებ პოლ პირსს ბოლო 12 წამში ორჯერ მიეცა სამქულიანის სროლის საშუალება. „კვლტთა“ სამწუხაროდ, არც ერთმა არ უწია კალათს.

შარლოტში იქაურ „პორნეთსთან“ სტუმრობისას კლივლენდურმა „კავალერებმა“ ორ დღეში მეორე მარცხი იწვნია და აშკარად წაუხდინა გუნება ახალ მხედართმთავარს, ჯონ ლუკასს.

არადა „კავალერები“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უგებდა მასპინძლებს, მისი ლიდერი ანდრე მილერი კი პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში სჯაბნინდა ბავშვობის მეგობარ ბაირონ დევისს. მაგრამ ბოლო მეოთხედში დევისი პირდაპირ გაეცოფდა და მისმა „შარლოტმაც“ სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა. დევისმა უკანასკნელ 12 წუთში 21 ქულა, ჯამში კი სამწლიან კარიერაში სარეკორდო 33 ქულა მოიხვეჭა და საყოველთაო ქება დაიმსახურა, თავად კი მოკრძალებით თქვა, მეონი, ცუდად არ მითამაშაო.

ჩემპიონ „ლეიკერსთან“ წაგებით გაფუჭებული გუნება „პორტლენდმა“ უხეირო „გოლდენ სტეტიის“ დაჯაბნით გამოიკეთა „ბლეიზერსს“ ვეტერანი სკოტი პიპენი წაუძღვა და ოღნავ მიამუშა კრიტიკოსები, რომლებიც „ლეიკერსთან“ შეხვედრაში ორი ქულის ჩაგდების გამო აუშხედრდნენ. თუმც პიპენი მაინც დაიწვინა, მასზე მეტი ქება ერგო სხვა პორტლენდელს, ბონზი ველსს, რომელსაც ნახევარი წელია, არ ეთამაშა და ტრავმამომუშებულმა პირველივე შეხვედრაში კარიერაში სარეკორდო რაოდენობის ქულებს მოუყარა თავი. ღირსებადაკარგულ „ჩიკაგო ბულზთან“ სტუმრად მთამაშე „ინდიანა პეისერზმა“ სამი მეოთხედი უთმინა მასპინძლებს, ბოლო თორმეტწუთეული კი 28:9 მოუგო და თავისი ადგილი მიუჩინა.

ირაკლი ფიჩაშვილი



ბასკთელი დავით ბერძენიშვილის მორიგი ორი ქულა

პარჯიუი გეორკი

1 ნოემბერი. ბათუმი

ბასკო 117:65 ქუთაისი

25:13, 39:25, 36:15, 17:12

ბასკო: მარკოშვილი (22), ბეგნიშვილი (5), ტუფანი (15), იმნაძე (8), ბერძენიშვილი (8); თორთაძე (11), საყვარელიძე (10), არხიპოვი (13), სლიშალოვი (15), ჩხატარაშვილი (4), კუშელავა (6), ბოლქვაძე (5)

ქუთაისი: ბადრიძე (18), კვიციანი (8), ბარბაქაძე (7), შანიძე (3), ტორაძე (9); ცერცვაძე (17), ბერეკაშვილი, პარტახია (3), ლომიძე, კუარაშვილი, დარბაზიძე, შველაძე

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუბაძე, ქიშხიაშვილი, ნოდარ დარბაზიძე

მწიკა შანაშვილი ბათუმში

ბათუმში საკალათბურთო სეზონი თანდათან ზურდობს, ოღონდ ევ არის, რომ კალენდარმა ზღვისპირელებს თავიდანვე ორ სუსტ მეტოქესთან მისცა წაყვარვიშების საშუალება. თბილისის „შვედლენის“ სტუმრობის შემდეგ გუნდში ბათუმს კიდევ ერთი სუსტი გუნდი — „ქუთაისი“ ეწვია. ყველამ იცოდა, რომ ნორჩი იმერლები მხოლოდ მოვალეობის მოხსნის მიზნით გაირჯებოდნენ, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის გამძლიერებისთვის „ბასკოსთან“ მეტოქესთან გაბრძოლების მცდელობაც კი საჭირო საქმეა.

თავის მხრივ „ბასკოს“ თავკაც პავლე გოგავს ახალბედა მოთამაშეების გამოცდისთვის და ნაირ-ნაირი ტაქტიკური მონახულების რეალობაში ასასახად სასურველი პირობები შეექმნა. ასეთ მატჩში ხომ მწვერთელს ვარკვეული ექსპერიმენტების ჩატარების უფლება ეძლევა.

თავად თამაში ორივე გუნდმა საქმოდ მხნედ დაიწყო. ბათუმელთა სასტარტო ზუთუელში მეორედ გამოჩენილმა ახალგაზრდა დავით იმნაძემ პირველი ქულა ჩააგდო და საწყის წუთებში გამოჩენილი იყო. ქუთაისელებმა მესვე უნაპუნეს, ორი ქულა ჭირაქაძის ანგარიშზე იყო, მაგრამ ტუფანის და იმავე იმნაძის ძალისხმევით „ბასკო“ მეხუთე წუთისთვის წინ გაიჭრა — 10:4.

„ქუთაისის“ ჭაბუკებმა ფარ-ხმალი ვერცე არ დაყარეს. ჭირაქაძისა და ბარბაქაძის აქტიური თამაშის ხარჯზე მეოთხედის დასრულებამდე ორი წუ-

თით ადრე სხვაობა ერთ ქულამდე შემცირდა, თუმც ზღვისპირელებმა დარჩენილ დროში ერთობ იაქტიურეს და ათწუთეულის ბოლოსთვის სხვაობა 12-ქულიანი გახდა — 25:13.

მეორე მეოთხედში ორივე გუნდმა შედეგიანი და თვალსაჩინო თამაში გაიჩინა. მართალია, პირველ წუთებში სტუმრებმა გაბრძოლეს, მაგრამ საქმეში მთელი ბრწყინვალეობით მანუარ მარკოშვილი ჩაერთო. ამ ახალგაზრდა ბიჭს ყველაფერი ჩინებულად გამოსდიოდა და ხუთი წუთის ინტერვალში 16 ქულას მოუყარა თავი. სწორედ მისი წვლილი იყო, დიდი შესვენებისთვის „ბასკო“ სავარძობლად რომ დაწინაურდა — 64:38.

თამაშის განახლებას დიდად არაფერი შეუცვლია. მარკოშვილმა კვლავ ჩვეულად ითამაშა. მის მარჯვ მალე 6 ქულა შეემატა და გოგავს დასვენების საშუალებაც მისცა. ქუთაისელებმა ამ მეოთხედში აქცენტი სამქულიანებზე გააკეთეს და არც თუ უსაფუძვლოდ, ზედიზედ ოთხი სამქულიანი ჩააგდეს ბადრიძემ და ბარბაქაძემ, რითაც სხვაობა ოღნავ შემცირეს, თუმც დროებით. „ბასკოს“ მეორე შემადგენლობამ მეტოქეს არაფერი დაუთმო და მეოთხედის აკორდი არხიპოვის ასქულიანის მანიშნებელი ორი საჯარიმო იყო.

ბოლო მეოთხედი გუნდებმა არცთუ აქტიურად ჩაატარეს. შედეგიანობამაც მკვეთრად იკლო, თუმც ამით არაფერი შეცვლილა. „ბასკომ“ დინჯად მიიყვანა საქმე ლოგიკურ დასასრულამდე, რაც საბოლოო ანგარიშში სოლიდური სხვაობით გამოიხატა — 117:65.

მართალია, ახალბედა იმერლებს მძიმე დღე დააღვათ, მაგრამ ამ ბიჭებს კოჭებში ეტყობათ, რომ სამომავლოდ მათთან ბრძოლა სასუმარო საქმე არ იქნება. „ბასკოს“ კი წინ საგარეო მატჩების სერია ელის. ვნახოთ, გოგავს საშვესო როგორ გამოავლენს თბილისში რეალურ ძალას.

დინამო	3	3	0	277:218	6
ზოტი	3	2	1	222:208	5
ბასკო	2	2	0	191:109	4
სტუჭიოსელი	2	2	0	198:129	4
თსუ	2	1	1	160:152	3
მაყაბი	2	1	1	154:166	3
შეგარდენი	3	0	3	170:227	3
ქუთაისი	3	0	3	211:297	3
სსუ	2	0	2	125:202	2

ინდიელური თამაშები



REUTERS კამპო გრანდეიდან


კამპო გრანდეში, ბრაზილიური შტატის მატო გროსუ დუ სულის გულიგულში ესესა დაინყო ინდიელთა სპორტული თამაშები. 39 ბრაზილიური ტომის ბარე 850 ინდიელი ერთმანეთს გაეჯიბრება ომის ხელოვნებაში, მშვილდის, თოფისა და დანის სროლაში, სირბილა და სხვა ათას სიჩაუქეში. ამ თამაშებზე სავატიო სტუმრად არის ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი კაპიტანი და მსოფლიო ჩემპიონი დუნგა, რომელიც მშვილდის სროლაში დახელოვნებას ლამობს. დუნგას ზურგსუკან უდგას მარკოს ტერენა (მარცხნიდან მეორე), მთელს ბრაზილიელ ინდიელთა განთქმული ლიდერი.

ქორნილი სტადიონზე

ჩინეთში ფეხბურთი ყველაზე პოპულარული სპორტი შექნია. სტადიონები გაჭყდილია. ასე განსაჯეთ, მექორწილენიც კი აქ მოდიან ხოლმე. ყმაწვილი ღი ვიისა და ქალწული დუან ჯიუანშინგის საქორწინო ცერემონიალი ხომ საერთოდ „შანჟისა“ და „ბაი ინ ჟიანის“ მატჩის შესვენებაზე გამართულა.



REUTERS ზანგიდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

მისტერ ოლიმპია


მს. მისტერ მოყვანილი ჯეული ტეხასელი ბოლიციელი რონი კოულმენი გახლავთ. ბოლიბილდერთა წლევეანდელი „მისტერ ოლიმპია“ სწორედ ის გახდა. „მისტერ ოლიმპია“ კუნთის მოტრფეაღეთა ყველაზე პრესტიჟული ტიტულია პროფესიონალთა შორის და მას ცხრაჯერ თუ ათჯერ ფლობდა არნოლდ შვარცნეგერი.



REUTERS ბერლიდან

ბანტის ორქაელზე

ბელგიის ქალაქ გენტში, ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატზე რუმინელებმა ფურორი მოახდინეს და გუნდურ პირველობაში რუსებს აჯობეს. რუსები ვერცხლის მედალს დასჯერდნენ, რაც დიდ მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს. მესამე ადგილზე ამერიკელები გავიდნენ, და ეს კობტა და მიზანდასახული გოგოც ამერიკელია, კეტი ჰინენი, რომელიც ორმაგ ორქელზე ასპარეზობისას ჩაასურათხატა როიტერის ფოტორეპორტიორმა.




REUTERS ლოს ანჯელესიდან

როდგანი ბაპოიძასუს

მეორე დღე მილია ნბა-ს ახლადდანიეული რეგულარული ჩემპიონატისა. ჩემპიონმა „ლეიკერსმა“ ლოს ანჯელესის „სტიუპლზ სენთერში“ მილო „თრეილ ბლეიზერსი“ და 98:87 მოუგო. ლოსანჯელესელთა გრძელ სკამზე იმ საღამოს გვარიანი მხიარულება სუფევდა, რახან გუნდის მთავარი ოხუნჯი რიკ ფოქსი დენის როდმანის ნიღბით მოსულიყო თამაშზე და თუ მოედანზე არ იყო, პარტნიორებს ახალისებდა. განსაკუთრებით ისეთი მიმდობი და ბავშვური ვინმე ხარობდა, როგორიც შაკილ ონილია. მიჩ რიჩმონდი კი ჩვეული თავშეკავებით ილიმობდა.



REUTERS ლას ვეგასიდან



REUTERS ლას ვეგასიდან

შეიტაკეზიან

ახლოვდება შემსუბუქი წონის დიდი, ქაშართა გამაერთიანებელი ბრძოლა. გაავსტრალიელებული რუს-კორეელი კოსტია ძიუ (ყირაზე რომ დგას) ლას ვეგასს ჩასულა და თავისი საბჭოსა (ვბე) და ასოციაციის (გბა) ქაშრები სასწორზე დაუდია. ბრძოლაში თავის ფედერაციის (იბფ) ქაშარს გამოდის ბრუკლინელი ზაბ ჯუდა, რომელსაც მამამისი იოელი ჯუდა აგარჯიშებს. დიდი შერკინება ამ შაბათს გაიმართება „ემჯიემ გრანდის“ დარბაზში.

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბერიდან
გამოდის საგაბათს,
ოთხგაბათს, ხუთგაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჯორჯაძე
დირექტორი გიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბერიძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კობორაძე
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, ვიორჯი ღარჯანია, ვიორჯი ვაშაყიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი

კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია ვი ახალაძე, ვიო ახლელაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტ ტუთაიში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტი მათა აბიანიძე, ნათელა ვიორჯიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევძე, მაგდალორაშვილი, კახა თაღაევანი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომცემი ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზაბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საწესდრო მისამართი:
თბილისი - 79, საწესდრო ქუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვებგვერდი http://www.sarbieli.com.ge